საქართველოს რესპუბლიკა

გაბმული 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№12-13 (9844-45) 2025 წლის 3 თებერვალი, ორშაბათი.

ფასი 1,5 ლარი

ნიკა გვარამია პროლეტარიატს ეძიებს რევოლუციის გასამარჯვებლად

4

ვიღაცის და ვიღაცის

2

ზვიად გამსახურდია: ყველა ოცნება ადამიანის ცხოვრებაშივე უნდა ახდეს!

11



ეს არის ერთადერთი სიმართლე!

5

„თბილისი მოლთან“ მიმდინარე აქციაზე რამდენიმე ადამიანი დაშავდა!

„თბილისი მოლთან“ გუშინ გამართულ საპროტესტო აქციაზე სამართალდამცველებსა და აქციის **მონაწილეებს შორის რამდენჯერმე მოხდა დაპირისპირება.**

აქციაზე დაშავებული რამდენიმე პირი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ადგილიდან გაიყვანა.

როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, დაშავებულებს შორის არის „ტვ პირველის“ ოპერატორი.

თბილისის გასასვლელთან, ავტომაგისტრალზე დაპირისპირებისას ნიკა მელია და გიგი უგულავა სამართალდამცველებმა ტერიტორიიდან გაიყვანეს.

ადგილზე ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც აქციის მონაწილეები შეეცადნენ, სრულად დაეკავებინათ საავტომობილო გზა, რისი საშუალებაც მათ ადგილზე მყოფმა სამართალდამცველებმა არ მისცეს.

მანამდე პოლიციამ მოუწოდა აქციის მონაწილეებს, იმგვარად ევლოთ, რომ საავტომობილო გზა არ ჩაკეტილიყო.

პროტესტის მონაწილეებმა ერთხმად განაცხადეს, რომ აქციას პერმანენტული ხასიათი ექნება...

ლექსი – მიზანში

ლაშა ნადარეიშვილი

არ გამყიდო - მამული ვარ!

ეს რა უცხო
ხმაურია?
ეს რა მეხმა
იგრიალა?
არ გამყიდო -
მამული ვარ!
არ მესროლო -
ილია ვარ!

სისხლიანი
ჩემი მიწა
მტერმა გაღმა
გაზიდაო,
წმინდა ნინომ
ჯვარი მიწნა
უფლის ბაღის
ვაზითაო...

ჟამი ლხინად
შენიღბული
მომიღერებს
კვლავ სატევარს,
გახსნილი მაქვს
შენთვის გული
ყველა დარდის
დასატევად!

ეს მუხთალი
დრო და ბედი
ვერასოდეს
ამატირებს,
მაპატიე,
რომ დავბერდი,
რომ მიყვარხარ,
მაპატიე!

ეს რა უცხო
ხმაურია?
ეს რა მეხმა
იგრიალა?
არ გამყიდო -
მამული ვარ!
არ მესროლო -
ილია ვარ!

პოლიტიკა და პოეტიკა

იქნებ ზედმეტად ან გულუბრყვილობად მოგეჩვენოთ, მაგრამ მაინც მცირე განმარტებით დავიწყებ.

მაშ, ასე. კლასიკური განმარტებით, პოლიტიკა არის ხელისუფლების, პარტიის, საზოგადოებრივი ჯგუფის მოღვაწეობა ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობების მართვის სფეროში. ამავე დროს, ტერმინი გულისხმობს მოქალაქეთა ურთიერთობების მართვას რაიმე მიზნის მისაღწევად – ზემოქმედებას ადამიანის ცნობიერებაზე. მაგალითად, როცა გვესმის გამოთქმა „გვარამიას პოლიტიკა“, ან „გახარიამ პოლიტიკა შეიცვალა“, სწორედ ეს იგულისხმება.

ამავე დროს, პოლიტიკა არის უშუალოდ საზოგადოებრივი (ეკონომიკური, სოციალური, სულიერი) ცხოვრების სფერო, რომელიც დაკავშირებულია სოციალური სუბიექტების ურთიერთობებთან, სახელმწიფოსა და საზოგადოებაში მმართველობის სისტემის ფუნქციონირებასა და ცვლასთან.

განმარტებიდან და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ძნელი სათქმელია, შეიძლება თუ არა დაერქვას პოლიტიკა ხელისუფლებაში აღზევებაზე მეოცნებე ზოგიერთი ჯგუფის პირდაპირი გაგებით მავნებლურ, სახელმწიფოს დამანგრეველ ქმედებებს საშინაო ასპარეზზე და კიდევ უფრო მეტად დამანგრეველ, მავნებლურ, დამსმენ-მოღალატურ ქმედებებს საგარეო ასპარეზზე...

ვინაიდან პოლიტიკა საკმარისზე მეტად რთული, წინააღმდეგობრივი და საინტერესო ფენომენია, ამიტომ მასზე მსჯელობამ შორს რომ არ გაგვიტყუოს, სჯობს აქ შევჩერდეთ, უფრო სწორად – პოეზიის თეორიაზე გადავიდეთ.

ფართო გაგებით, პოეტიკა არის მეცნიერება მხატვრული ლიტერატურის შესახებ – ლიტერატურის თეორია. სულაც არ გადავაჭარბებთ, თუ მას პოეზიის ფილოსოფიასაც დავარქმევთ.

საზოგადოების მართვისა და მხატვრული ლიტერატურის თეორიები უეჭველად მანამდეც არსებობდა, მაგრამ საზოგადოებრივ ცნობიერებაში მათი დღევანდელი მნიშვნელობით დამკვიდრება დიდი ბერძენი მწერლის, ფილოსოფოსისა და პოლიტიკური მოღვაწის, არისტოტელეს სახელს უკავშირდება (ძვ. წ.ა. 384 – 322 წ.წ.). სწორედ მას ეკუთვნის თანამედროვეობამდე მოღწეული ნაშრომი მართვის ხელოვნებაზე – „პოლიტიკა“. არისტოტელე გახლავთ ასევე ავტორი უაღრესად საინტერესო ფილოსოფიური ნაშრომისა „პოეტიკა“. შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენდა სასახელოდ, ორივე ეს ნაშრომი კარგა ხანია თარგმნილია ქართულ ენაზე და მასთან „ჩახუტება“ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის შესაძლებელია (მთარგმნელები – **თამარ კუკავა** და **სერგი დანელია**).

ახლა ზოგიერთი ქართველი „პოლიტიკოსის“ ბოლოდროინდელი გამონათქვამებიც ვნახოთ და ვიფიქროთ, აქვთ თუ არა მათ რაიმე კავშირი, ზოგადად, პოლიტიკასთან.

კოლეგიური ოპოზიციის (გვარამია, ბოკუჩავა, ჯაფარიძე) განცხადება: **„ჩვენ უნდა შევიდეთ ევროკავშირში, სადაც გველის სიკეთე, სიმშვიდე და კეთილდღეობა. და, რაც მთავარია, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება...“**

ანუ, ამ სიტყვების ავტორთა აზრით, გარდა იმისა, რომ როთისა და კაია კალასის ევროპა მწვადებით, შოთის პურებით, ღომითა და სულგუნებით აგვავსებს, თურმე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთსაც დაგვიბრუნებს! არადა, მე უვიცს (ჩემს პოტენციურ ოპონენტებს საქმეს ვუადვილებ!) მეგონა, რომ, მართალია, მაშინ „მეგობარი“ ევროპა საეჭვოდ გაიტრუნა, მაგრამ მაინც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთმა წაგვართვა და რუსეთმა უნდა დაგვიბრუნოს!

ამ „ბრძენი და პატრიოტი პოლიტიკოსების“ შეგონებიდან ისიც აშკარად იკითხება, რომ მათ საკუთარი მომხრეები და მთლიანად საქართველოს მოსახლეობა უვიცთა და უგუნურთა ბრბოდ მიაჩნიათ.

აქვე შეგახსენებთ ოპოზიციად თვითაღიარებული პუბლიკის დაუფარავ აღტაცებას ევროპარლამენტის ასამბლეის „დათქმით“ – **საქართველოს დელეგაცია დარჩება ამ ორგანიზაციაში, თუ საქართველო გაათავისუფლებს ქვასროლია „პოლიტიკურ პატიმრებს“, მკვლელ და მძარცველ სააკაშვილს, დანიშნავს ახალ საპარლამენტო არჩევნებს.**

არც დონ ტუიგის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ბრიტანეთის დელეგაციის თავმჯდომარის ულტიმატუმით გამოწვეული აღფრთოვანების დავიწყება გვარგებს: **„მე არ ვამბობ, რომ ივანიშვილს, უბრალოდ, ქონება უნდა ჩამოვართვათ – ჩვენ ეს ქონება უნდა გამოვიყენოთ“.**

ანუ მეგობარი სერ ტუიგი ქართველ დედის მაგინებელ კოლეგებს ამუნათებს, მიდით, **სამართლოს წინაშე, რომ შეფარდებულიყო ეს აღკვეთის ღონისძიება. შესაბამისად, მე მოქალაქეობრივი პოზიციაც დავაფიქსირე კოლეგის მიმართ“...**

უპირველეს ყოვლისა, ძვირფასი, მამაცი და დედაბუდიანად ცნობილი ბატონი ვასილი არ ამბობს, რატომ არის ქალბატონი მზია ამაღლობელი ჟურნალისტი – მისი რაიმე ჟურნალისტური ნაღვაწი უნახავს, თუ იმის გამო, რომ გამომცემლობა დააფუძნა? არც იმას ამბობს, რატომ იცავს ამ ქალბატონს - იმის გამო, რომ ჟურნალისტია, თუ იმის გამო, რომ უდანაშაულოა? ან იქნებ ჰგონია, რომ პოლიციელისთვის საჯაროდ და დემონსტრაციულად შემოლაწუნება დანაშაული არ არის?

სხვათა შორის, მეც და ბევრი სხვაც ბატონ ვასილს სიამოვნებით გამოვუცხადებით მხარდაჭერას, იგი მზია ამაღლობლისთვის ჩადენილი დანაშაულის პატიებას რომ ითხოვდეს. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ბატონ ვასილსაც და ქუჩის „მოფშვიტინეთაც“ უცნობი ჟურნალისტი ფეხებზე ჰკიდიათ. მათთვის უმთავრესი მზიას თავისუფლება კი არა, თავის გამოჩენა, საკუთარი სიმამაცის

რატომ წირავთ თქვენს შვილებს და შვილიშვილებს ქეთა გაბიანებისნაირებთან სამეგობროდ; ხომ იცით, რომ დღეს-ხვალ ვითარება აუცილებლად უკეთესობისკენ შეიცვლება და იმ დალაგებულ ქვეყანაში ქეთას და მისი თანამოაზრეების ადგილი არ იქნება?

მიაწექით, ვიღაც-ვიღაცები მსხვერპლად შესწირეთ კიდეც, სამაგიეროდ, ივანიშვილს მილიარდებს წავართმევთ და თქვენ გაგინაწილებთო. ნუუუ, არ ამბობს, მაგრამ ორიოდ კაპიკს ალბათ თვითონაც დაიტოვებს!

ქართველი „კოლეგებიც“ ხბოს აღტაცებით იჯერებენ.

ვერ ვიტყვი, დიდად პოპულარული-მეთქი, მაგრამ საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის (პირველი არხი) ერთ-ერთი წამყვანი ვასილ ივანოვ-ჩიქოვანი საქართველოში საკმაოდ ცნობილი პერსონაა. სწორედ ეს ცნობილი პერსონა ბრძანებს: **„სოლიდარობა გამოვუცხადე და კვლავ ვუცხადებ მზია ამაღლობელს. მივიჩნევ, რომ მისთვის შეფარდებული უმკაცრესი აღკვეთის ღონისძიება არაფრით არ იყო დასაბუთებული. არანაირი აუცილებლობა არ იდგა, არც პროკურატურის და არც სამართლის ეროვნული ბანკის, ეროვნული ბანკის, ეროვნული ბანკის,

დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა.
მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად
აინთებს...
დროშები ჩქარა!..“

გენიალური გალაკტიონისავე კალამს ეკუთვნის აშკარად პარტიული შეკვეთით დაწერილი და გამოქვეყნებისთანავე დასავიწყებლად განწირული ეს სტრიქონები (მიჭირს, ლექსი დავარქვა):

„მხარი მხარს, მხარი მხარს! კოლექტივო,
მხარი მხარს!
აბა, ჰე, აბა, ჰე, აბა, მივცეთ მხარი მხარს!
წავიდეთ, მოვედოთ თავისუფალ
მთა და ბარს.
მივიდეთ, მივუდგეთ გაერთიანებულ ჯარს.
არიქა, არიქა, ჩავეჭიდოთ გუთნის ტარს.
არიქა, ბობოლა ძველ ღობეებს
უვლის გარს...“

იმედია, ქალბატონი ბელა შალვაშვილი გალაკტიონის გვერდით მის მოხსენიებას შეურაცხყოფად არ მიიღებს. მით უფრო, რომ კიდევ ერთხელ ქედს ვიხრი ამ უნიკალური აღმოსავლეთმცოდნე-მთარგმნელის (მხოლოდ ფირდოუსის უვრცესი „შაჰნამეს“ გადმოქართულება რად ღირს!), შესანიშნავი პოეტისა და ლიტერატურული მოღვაწის წინაშე. სწორედ მის მადლიან კალამს ეკუთვნის ეს სულის შემძვრელი სტრიქონები:

„როდის ისვენებს არაგვი,
რა დროს იძინებს მტკვარი...
ნეტავი, როცა არა ქრის,
მაშინ სად არის ქარი...
რად ვერ მოშუშდა აქამდე ქვეყნად
ამდენი წყლული...
და თუ რამე არ აღანთებს, როგორ
ისვენებს გული...“

და, აი სწორედ ეს ნიჭიერი ქალბატონი 2025 წლის 24 იანვრის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ აქვეყნებს აშკარად პოლიტიკური დაკვეთით შესრულებულ სტრიქონებს:

როდესაც ხალხი გამოდის გარეთ
და მოედება მოედნებს რისხვით,
მთავრობისადმი ირჯება ცხარედ –
უტყუარია სიმართლე მისი.
ასეა ოდით, ასეა დღემდე –
მაღალთ მდაბალთა მჩაგვრელად
ვხედავთ,
და ვით ჩაგრული ირჯება ეგრეთ,
გარჯა იმისი სწორია მეტად.
დავფიქრდები და გამოდის ასე –
უფროსი მიწყივ მჩაგვრელი არის,
უფროსი არის სიხარბით სავსე –
გაუმაძღარი მგლისაა დარი...“

მე, ქალბატონი ბელას შემოქმედების მეტნაკლებად მცოდნე და დიდად დამფასებელ ადამიანს, მით უფრო, თავადაც აღმოსავლეთმცოდნეს, მიჭირს დავიჯერო, რომ ეს აბსოლუტურად ულოგიკო, აშკარად ნაძალადევი, პოლიტიკური რახარუხი მისი ალალი სურვილის ნაყოფია. ამიტომაც ვერაფერს ვამბობ მის რაიმე კავშირზე პოეტიკასთან – პოეზიის ფილოსოფიასთან.

მართლაც ძნელი სარწმუნოა, მრავლისმნახველმა ქალბატონმა ბელამ არ იცოდეს, რომ ხალხი არის საზოგადოების ის ნაწილი, ვინც ფიქრობს, ქმნის, აშენებს, თარგმნის, ლექსებს თუ რომანებს წერს, სტუმარ-მასპინძლობს... ვინც ქუჩაში მშვიდობიანად გამოდის ქართული ენის დასაცავად (1978 წელს), ან ქვეყნის დამოუკიდებლობის მოთხოვნით (1989 წელს)...

საზოგადოების ის ნაწილი, ვინც ქუჩაში გამოდის სახელმწიფო გადატრიალების მოთხოვნით, საკანონმდებლო ორგანოს შენობაში შეჭრას ლამობს, ქვებს ისვრის, პოლიციელებზე ძალადობს და უშვერი სიტყვებით ბილწსიტყვაობს, არის ბრბო...

ამ მარტივი ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, „როდესაც ხალხი გამოდის გარეთ და მოედება მოედნებს რისხვით,“ ის არის არა ხალხი, არამედ ბრბო.

მრავლისმნახველმა ქალბატონმა ბელა შალვაშვილმა ეს უნდა იცოდეს.

თეიმურაზ ძორიძე
01.02. 2025

ქართულმა დელეგაციამ აღკვეთა „დიფ სთეითის“ მორიგი ვერაგული ცდა...

საზოგადოება „ქართული“ განცხადებას ავრცელებს, სადაც აღნიშნულია, რომ „ქართულმა დელეგაციამ აღკვეთა „დიფ სთეითის“ მორიგი ვერაგული ცდა, ჩავარდნილი „მაიდნის“ ფონზე, გაკოტრებული ოპოზიცია უკანა კარიდან შემოაპაროს პოლიტიკურ სივრცეში და ქართველ ხალხს წაართვას არჩევანი.

საზოგადოება „ქართული“ მიიჩნევს, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 29 იანვრის რეზოლუცია აცდენილია საერთაშორისო სამართალს, სამართლიანობის პრინციპს და ევროპულ დემოკრატიულ ღირებულებებს.

„ასამბლეის სხდომაზე ჩავარდა საქართველოს ახალი მოწვევის პარლამენტის დელეგაციის უფლებამოსილების არცნობის გეგმა, რომლის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორები იყვნენ გარე ძალების მიერ მართული რადიკალური ოპოზიციისა და „არასამთავრობო“ ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამასთან, რეზოლუცია შეიცავს დათქმებს, რომლებიც საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფისა და შიდა საქმეებში უხეში ჩარევის მცდელობაა.

პირველ რიგში, ვგულისხმობთ დოკუმენტის მოთხოვნას, რომლის მიხედვით, თურმე საქართველოს ხელისუფლებამ აპრილამდე ახალი საპარლამენტო არჩევნები უნდა დანიშნოს.

ამ რეზოლუციით ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა გასცდა თავისი კომპეტენციის ზღვარს – მას არ აქვს უფლება, მოითხოვოს ამა თუ იმ ქვეყნისგან კონკრეტული შიდა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. ამ ყველაფერს არეგულირებს არა ევროსაბჭო, არამედ კონკრეტული სახელმწიფოს კანონმდებლობა და კონსტიტუცია.

საქართველოს ხელისუფლების მიმართ ახალი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნა, ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფასთან ერთად, საქართველოს მოქალაქეებისადმი უპატივცემულობის გამოხატულებაა. გამოდის, რომ ევროსაბჭო მოითხოვს საქართველოს 1 200 000-ზე მეტი მოქალაქის ნების უგულებელყოფას და, ყოველგვარი არგუმენტების გარეშე, მათთვის ანტიდემოკრატიული და ანტიკონსტიტუციური პროცესის თავსმოხვევას.

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებიდან ლამის ოთხი თვე გავიდა. ამ ოთხი თვის განმავლობაში ვერც რადიკალურმა ოპოზიციამ, ვერც „არასამთავრობო“ ორგანიზაციებმა და ვერც მათმა უცხოელმა კურატორებმა ვერ წარმოადგინეს ვერცერთი ფაქტი და არგუმენტი, რაც არჩევნების გაყალბებას დაადასტურებდა. მეტიც, მათმა დიდმა ნაწილმა პროკურატურასთან არ ითანამშრომლა და ვინც ჩვენება მისცა, ისინი თვითმხილველები კი არ იყვნენ, არამედ ეყრდნობოდნენ ანონიმური მესამე პირების მონათხრობს.

შედარებისთვის, წელს არჩევებზე დაიწერა 1174 საჩივარი, როცა წინა არჩევნებში ეს ციფრი 2200-სს აღემატებოდა. შეუძლებელია, ეს არ სცოდნოდათ რეზოლუციის ავტორებს. მით უფრო, რომ არჩევნების დღეს უამრავმა უცხოელმა დამკვირვებელმა საჯაროდ ძალზე დადებითი შეფასება მისცა არჩევნების პროცესს, ხოლო ეუთო/ოდირმა, რომელიც ერთადერთი კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციაა არჩევნების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით, აღიარა – არჩევნები საქართველოში იყო კონკურენტული და თავისუფალი.

სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ გვიწევს ფაქტის კონსტატაცია – 29 იანვარს მიღებული ევროსაბჭოს საპარლამენტო რეზოლუცია თავიდან ბოლომდე ჯდება დიფ სთეითის სტრატეგიაში, რომლის მიზანია, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოიყვანოს საკუთარი მარიონეტები. შემდეგ კი მათი მეშვეობით თავისი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად ქვეყანა ომში ჩართოს, რასაც ქართული სახელმწიფოებრიობის ნგრევა მოჰყვება“, – ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს ოფიციალური დელეგაციის ადგილი არ არის იქ, სადაც ხელყოფენ ქვეყნის სუვერენიტეტს, საქართველოს მოსახლეობას აყენებენ შეურაცხყოფას, ხელისუფლებას კი შანტაჟის ენით ელაპარაკებიან.

საზოგადოება „ქართული“ მიიჩნევს, რომ ამ ვითარებაში „ქართული ოცნების“ გუნდის გადაწყვეტილება საპარლამენტო ასამბლეაში მუშაობის დროებით შეწყვეტის შესახებ, იყო ერთადერთი სწორი გამოსავალი.

„ამ ნაბიჯით ქართულმა დელეგაციამ აღკვეთა „დიფ სთეითის“ მორიგი ვერაგული ცდა, ჩავარდნილი „მაიდნის“ ფონზე, გაკოტრებული ოპოზიცია უკანა კარიდან შემოაპაროს პოლიტიკურ სივრცეში და ქართველ ხალხს წაართვას არჩევანი. ეს არის ნამდვილად ღირსეული და ქართული ნაბიჯი ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცების გზაზე.

საქართველოს ოფიციალური დელეგაციის ადგილი არ არის იქ, სადაც ხელყოფენ ქვეყნის სუვერენიტეტს, საქართველოს მოსახლეობას აყენებენ შეურაცხყოფას, ხელისუფლებას კი შანტაჟის ენით ელაპარაკებიან.

საქართველოს დელეგაცია მაშინ უნდა დაუბრუნდეს ასამბლეაში მუშაობას, როდესაც შანტაჟს კვლავ ჯანსაღი დისკუსია შეცვლის, შიდა საქმეებში ჩარევის მცდელობას კი – პარტნიორობა. იმედი გვაქვს, ტრამპის მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაწყებული „დიფ სთეითის“ დემონტაჟის კამპანია მისწვდება მის ევროპულ ნაწილსაც. ამას კარგად გრძნობს „დიფ სთეითი“ და ვიდრე ისტორიის ნაგავსაყრელზე აღმოჩენილა, უნდა შური იძიოს ყველაზე, ვინც სუვერენიტეტის, ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და ტრადიციული ღირებულებების გაძლიერების პოლიტიკის გამტარებელია.

საქართველოს ოფიციალური დელეგაციის ადგილი არ არის იქ, სადაც ხელყოფენ ქვეყნის სუვერენიტეტს, საქართველოს მოსახლეობას აყენებენ შეურაცხყოფას, ხელისუფლებას კი შანტაჟის ენით ელაპარაკებიან.

რაც შეეხება ეგრეთწოდებულ პოლიტპატიმრების თემას – ევროპელმა პოლიტიკოსებმა თუ გააგრძელეს იმის მტკიცება, რომ სამართალდამცავებზე თავდამსხმელები პოლიტპატიმრები არიან, ეს ბუმერანგის პრინციპით ძალიან ცუდად შეუბრუნდებათ თავიანთ ქვეყნებსა თუ ქალაქებში, როგორც ეს პიროტექნიკასთან დაკავშირებით შეემთხვათ. ასეთი ორმაგი და სამმაგი სტანდარტები საქართველოს მოსახლეობაში ბევრ კითხვას აჩენს. ძალიან არ გვინდა, რომ ეს ევროპული სტრუქტურებისადმი იმედგაცრუებაში გადაიზარდოს, რადგან ნდობის თავიდან აღდგენას, შესაძლოა, წლები დასჭირდეს.

საქართველო მიისწრაფვის ევროპისაკენ და არა ევრობიუროკრატიისკენ, რომელიც ბოლო წლებში ევროპელ ხალხებსა და სახელმწიფოებზე გაბატონებულ ძალად მოგვევლინა. იგი დასცილდა ნამდვილ ევროპულ ღირებულებებს და გახდა მსოფლიოს მძლავრი ნეოლიბერალური „დიფ სთეითის“ მარიონეტი. ამას ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით და ვგრძნობთ, განსაკუთრებით 2022 წლის შემდეგ. თუმცა დღეს ამერიკაში ტრამპის ადმინისტრაციის მოსვლით მსოფლიოში დაიწყო დიდი ცვლილებები, რომელიც, ვიმედოვნებთ, აღრე თუ გვიან ევროპას დაუბრუნებს საკუთარ თავს, ღირებულებებს და, რაც ყველაზე მთავარია, სამართლიანობას.

დამოლოს, ადამიანურად, ძალიან სამწუხარო იყო იმის ხილვა, რომ ეთნიკურად ქართველები, საქართველოს მოქალაქეები – ვგულისხმობთ რადიკალური ოპოზიციისა და „არასამთავრობოების“ წარმომადგენლებს – აპლოდისმენტებით შეხვდნენ საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტის შელახვისა და თანამოქალაქეების დამცირების მცდელობას. თუმცა არ გვიკვირს, რადგან იმავე ადამიანებმა 16 წლის წინ ამავე დარბაზში ხელი მოაწერეს ღალატის აქტს – ევროსაბჭოს N1633 რეზოლუციას, რომელშიც 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებაში ქართველი სამხედროები დაადანაშაულეს. არცაა გასაკვირი, ისინი წარმოადგენენ არა ქართველ ხალხს, არამედ კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ აგენტურულ და კრიმინალურ სინდიკატს და მის უცხოელ პატრონებს. არადა, საქართველოს ჰაერივით სჭირდება ქართველ ხალხსა და სახელმწიფო ინტერესებზე ორიენტირებული ოპოზიცია. რაც უფრო აღრე ჩაანაცვლებს ქართული საზოგადოება უსამშობლო აგენტურას, ნამდვილად ქართული და ჯანსაღი ოპოზიციით, მით უკეთესი ქვეყნისთვის“!..

30 იანვარი, 2025 წ.

საქართველოს ოფიციალური დელეგაციის ადგილი არ არის იქ, სადაც ხელყოფენ ქვეყნის სუვერენიტეტს, საქართველოს მოსახლეობას აყენებენ შეურაცხყოფას, ხელისუფლებას კი შანტაჟის ენით ელაპარაკებიან.

საქართველოს ოქროს ხანიდან 900 წელი გავიდა!

პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, 8 თებერვალს აღმაშენებლის გამზირიდან წმინდა სამების საკათედრო ტაძრამდე საზეიმო მსვლელობა მოეწყობა

„პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, 8 თებერვალს აღმაშენებლის გამზირიდან წმინდა სამების საკათედრო ტაძრამდე საზეიმო მსვლელობა მოეწყობა“ – აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი“ ავრცელებს.

მსვლელობის ორგანიზატორები არიან საქართველოს საპატრიარქო და „დავითიანნი“.

„პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, 8 თებერვალს, 13:30 საათზე, დაიწყება საზეიმო მსვლელობა აღმაშენებლის გამზირიდან (24-ე სკოლიდან) სამების ტაძრამდე, სადაც მოეწყობა საზეიმო ღონისძიება და გადახდილი იქნება პარაკლისი. ერთად აღვნიშნოთ დავითობა – საქართველოს ოქროს ხანის დასაწყისიდან 900 წელი. შემოგვიერთდით!“, – აცხადებენ ახალგაზრდულ მოძრაობაში „დავითიანნი“.

ნიკა გვარამია პროლეტარიატს ეძიებს რევოლუციის განსამარჯვებლად

ბევრს ფიქრობს, თუ როგორ არის შესაძლებელი რევოლუციის გამარჯვებით დასრულება. მას დაახლოებით მიუგნია ამ გზისთვის. ოღონდ, ნიკა გვარამიას ეს მიგნება იმდენად მოულოდნელი, იმდენად ოდიოზური და საოცარია, რომ თავდაპირველად ვერც დაიჯერებ. მაგრამ ასე კია, ნიკა გვარამია არ ხუმრობს. მას უბრალოდ არ ეხუმრება!

გვარამია იხტიბარს არ იტეხს და კვლავაც იმ აზრს ეგლაუჯება, რომ „არჩევნები გაყალბდა“, მაგრამ ვინ ვინ და მან ხომ მშვენივრად იცის, რომ არაფერიც არ გაყალბებულა. ეს ვერსია თავიდან სულაც არ იყო რევოლუციის გამარჯვების ძირითადი იარაღი, სათადარიგო ზოგჯერ შეიარაღებული ძალდატანებაც.

ახლა ის, თუ რამდენად შესაძლებელი და თანაც გონივრულია ნიკა გვარამიას მიერ პროლეტარიატის (მუშების, გლეხების) ძიება რევოლუციის გასამარჯვებლად!

აქ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ნიკა გვარამია ავანტიურისტია და მიზნის მისაღწევად ყველაფერზე, ნებისმიერ სისაძაგლეზე წავა. ახლა ძნელი გასარკვევია, „პროლეტარიატთან“ საბრძოლო კავშირის შეკვრის ოპტიმალურობა ნიკას ვინ ჩააწვეთა, რაც მთავარია, ვინ დააჯერა, რომ ეს ასახდენი ვარიანტი იყო. ის, რომ თვითონ მოუვიდა თავში ეს იდეა, ძალიან, ძალიან საეჭვოა.

მაგრამ, როგორც ვნახეთ, ნიკას მოეწონა აზრი და ჩაებღაუჭა კიდეც. რა გამოდნება აქედან, ღმერთმა იცის.

სად მოკრეს საჭირო რაოდენობის პროლეტარს საქართველოში დღეს, როცა 1921 წელს ფეხშიშველი მე-11 არმიის შემოტლაკუნებამდე არ იყო იმხელა მუშათა კლასი, რომ თავისი „ისტორიული მისიის“ აღსასრულებლად ხელი გამოეღო.

ვთქვათ, ნიკას და ნიკელების თავგამოდებით მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა მოგროვდა და სამშობლოს წინააღმდეგ დაირაზმა როგორც ადრე, გასული საუკუნის 20-30-იან წლებში, ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღე გაგვითენდება!..

სამი თვეა საქართველოში ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები გრძელდება. არჩევნების გაყალბების მრალდებით წამოწყებულმა უწყვეტმა აქციებმა კარგა ხანია დაკარგა მოსახლეობის ინტერესი და თანაგრძნობა (თუკი ოდესმე ჰქონდა), მაგრამ ჯიუტად გრძელდება, რათა დასავლეთს უჩვენოს, რომ რევოლუცია „ცოცხლობს“. პირველი ოთხი დღის ცეცხლმა და „სიცინცხალემ“, როცა რუსთაველზე ლამის ნამდვილი ბრძოლები იმართებოდა, სპეციალურად მომზადებულ და შეიარაღებულ 400-500 „რევოლუციონერსა“ და პოლიციას შორის, მადლობა ღმერთს, ჩაიარა და აღარ გამეორებულა. აქ ერთ რამეს მინდა მკითხველის ყურადღება მივაპყრო: პროსპექტი რომ ზანზარებდა და გრიალებდა, პოლიცია ცეცხლის ალში იყო გახვეული, ერთი ტყვია არ გავარდნილა, ერთი კაციც არ დაჭრილა, სიკვდილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. თუმცა, ოპოზიციას მაინც ენა უბრუნდება იმის სათქმელად, რომ პოლიციელები „სასტიკად“ იქცეოდნენ, ხალხს განურჩევლად აპატიმრებდნენ. არადა კარგად იციან, რა ხდება უცხოეთში მსგავსი გამოსვლების დროს, რომ თითქმის მუდმივად სრულდება მსხვერპლით და ა. შ. მაგრამ მაინც წუწუნებენ, ჩვენს პოლიციას მაინც ავსა და „მონას“ უწოდებენ და საზღვარგარეთს საშველად უხმობენ.

ბევრს ფიქრობს, თუ როგორ არის შესაძლებელი რევოლუციის გამარჯვებით დასრულება. მას დაახლოებით მიუგნია ამ გზისთვის. ოღონდ, ნიკა გვარამიას ეს მიგნება იმდენად მოულოდნელი, იმდენად ოდიოზური და საოცარია, რომ თავდაპირველად ვერც დაიჯერებ. მაგრამ ასე კია, ნიკა გვარამია არ ხუმრობს. მას უბრალოდ არ ეხუმრება!

გვარამია იხტიბარს არ იტეხს და კვლავაც იმ აზრს ეგლაუჯება, რომ „არჩევნები გაყალბდა“, მაგრამ ვინ ვინ და მან ხომ მშვენივრად იცის, რომ არაფერიც არ გაყალბებულა. ეს ვერსია თავიდან სულაც არ იყო რევოლუციის გამარჯვების ძირითადი იარაღი, სათადარიგო

ჟურნალისტის ტრიბუნა!

„დღეს არის ადვილი, - მორალი უკითხო პარტიული ტელეარხებიდან ვანო მერაბიშვილისგან „ცა და დედამიწასავით“ განსხვავებულ ვახტანგ გომელაურს... დღეს არის იოლი - „ბოზო“ და „ნაბიჭვარო“ აკადრო გნებავთ პოლიციელებს და, გნებავთ, მოწინააღმდეგე პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლებს! დღეს არის ყველაზე ადვილი, - „რუსი“ და „ჩათლახი“ უწოდო „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობას, მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სავიზო რეჟიმიც სააკაშვილმა გააუქმა რუსეთთან და ლარსზეც თავად იდგა გიულევიჩი რუს ტურისტებთან დასახვედრად! **დღეს არის ადვილი, - ლანძღო ირაკლი კობახიძე და შალვა პაპუაშვილი და ხმა არ ამოიღო იმავე ოცი პროცენტის გასხვისების გამო სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ!“**

ეს არის ერთადერთი სიმართლე!

უკვე მერამდენედ ვხედავთ ერთსა და იმავეს... ერთ წრეზე ვტრიალებთ... ოცდაათი წელზე მეტია, აქციიდან აქციით ვცხოვრობთ... ახლა, შესაძლოა, ვინმემ გამაკრიტიკოს, ვინმესთვის მიუღებელი აღმოჩნდეს ჩემი პოზიცია, ვინმემ "დამაბულინგოს", მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას!

2011 წლის 26 მაისს, როდესაც სააკაშვილის, ახალაიების, კოდუას და მერაბიშვილის ჯალათებმა სასიკვდილოდ გაგვიმეტეს მეც და ჩემი კოლეგებიც, არ მახსოვს, რომელიმე ტელეჟურნალისტს (რამდენიმეს გამოკლებით) პროტესტი გამოეთქვას და მითუმეტეს, სიუჟეტი მოემზადებინოს ჩვენს მიმართ ჩადენილ ძალადობაზე!

მათ შორის, არც დღეს უკვე „ქართული ოცნების“ მომხრე ჟურნალისტებს!

მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელ ადამიანებს ეყოთ ვაჟკაცობა - დაეგმოთ ჩვენს წინააღმდეგ მოწყობილი სასაკლაო!

გეტყვით პირდაპირ: მხოლოდ ირმა ინაშვილმა, ნინო ჯღარკავამ, ბონდო მძინარაშვილმა, ინგა გრიგოლიამ და გიორგი თარგამაძემ შეძლეს იმ ჯალათური რეჟიმის სატელევიზიო ეთერებში მხილება იმავე ღამეს!

და „კოლეგები“, რომლებიც იმ დროს ე.წ. სამთავრობო არხებზე მუშაობდნენ, არც შეწუხებულან და მოკითხვითაც არავის მოვუკითხივარ რეზინის 37 ტყვიით დასახიჩრებული, „ხამუთებით“ დაბმული, ნაცემ-ნაგვემი მეგობარი და კოლეგა!

მხოლოდ ცხონებულმა ლევან ჩხაიძემ (ჯაკო) აიკლო ჩემი ტელეფონი დილიდანვე...

ზოგიერთმა ჩემმა კოლეგამ 37 (!!!) ლარად შეაფასა მერაბიშვილის ზონდერების მიერ ჩამტვრეული ძვლები(!) და აპარატურა და დიახ, მხოლოდ მე და ბექა სივსივაძემ გავბედეთ სტრასბურგში ჩივილი საკუთარი უფლებების დასაცავად!

„ასავალ-დასავალში“ ვმუშაობდი მაშინ!

იმ „ასავალ-დასავალში“, რომელიც ყელში ძვლად ჰქონდა გაჩხერილი თავად სააკაშვილსაც და ვის ჰქონდა ორი თავი, ჩვენს მხარდასაჭერად სიტყვა ეთქვა?!

სხვათაშორის, ჩემი კოლეგების ხმა არც მაშინ გამიგია, როდესაც გიგი უგულავას ზონდერებმა გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოგვყარეს და ქუჩაში დაგვტოვეს ასობით რედაქცია და ათასობით ჟურნალისტი 2007 წლის 10 აგვისტოს.

სამწუხაროდ, არც იმდროინდელ „ტელეიმედს“ არ გამოუხატავს მაშინ მხარდაჭერა და თავი არ მოუკლავს **„სამშობლოს“** დარბევის გამო!

ეს არის ყველაზე ცუდი!

ორმაგი სტანდარტია მოდაში და ეს ყველაზე ამაზრზენია!

ყაველაშვილის გინება გახადეს სალაპარაკო და **გვარამიას** ბინძურ ეთერებზე დუმილს არჩევენ!

წყლის ჭავლზე მოთქვამენ და **ახალაიებსა** და **გრიგორიადისს** გმირების მანტიით ფუთავენ!

ეს ბოროტებაა!

წინასწარ გამიზნული ბოროტებაა და როცა სხვადასხვა ტელეარხებით მორალს მიკითხავენ, **გიგა ბოკერიას** და **ლევან რამიშვილის** მიერ შექმნილი და დამყარებული იდეოლოგიური სიბინძურეები მახსენდება.

ეს ყველაფერი ხომ გუშინ და გუშინწინ არ დაწყებულა?!

წლებია, ასე ზრდიან **ბენდუქიძისა** და **ლაშა ბუღაძის** საქართველოში ახალგაზრდებსაც!

ამის გახსენება არ სურს დღეს არავის!

არადა, ცხოვრება ბუმერანგია!

დღეს არის, ყველამ რომ ხმა ამოიღო, ყველამ რომ ენა ამოიდგა, პოლიციელებს სახეში რომ აფურთხებენ და ენა რომ აქვთ ალესილი, ოღონდ „გლობალური ომის პარტიაზე“ ძვირი არ დაგცდეს...

დღეს აქვთ დიდი გული, როცა პარტიულ აქტივად იქცა ბევრი ჩემი კოლეგა თუ ე.წ. კოლეგა!

დღეს არის ადვილი, - მორალი უკითხო პარტიული ტელეარხებიდან ვანო მერაბიშვილისგან „ცა და დედამიწასავით“ განსხვავებულ ვახტანგ გომელაურს...

დღეს არის იოლი - „ბოზო“ და „ნაბიჭვარო“ აკადრო გნებავთ პოლიციელებს და, გნებავთ, მოწინააღმდეგე პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლებს!

დღეს არის ყველაზე ადვილი, - „რუსი“ და „ჩათლახი“ უწოდო „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობას, მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სავიზო რეჟიმიც სააკაშვილმა გააუქმა რუსეთთან და ლარსზეც თავად იდგა გიულევიჩი რუს ტურისტებთან დასახვედრად!

დღეს არის ადვილი, - ლანძღო ირაკლი კობახიძე და შალვა პაპუაშვილი და ხმა არ ამოიღო იმავე ოცი პროცენტის გასხვისების გამო სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ!

დღეს დემოკრატიაა, ბატონო, და თქვი, რაც გსურს!

გამკითხავი და პასუხის გამცემი არავინაა.

დღეს ისეთ ხალხს უკრავენ აქციებზე ტაშს, რუსეთის მოქალაქის პასპორტი ჯიბეში რომ უდევთ და რუსულ ბაზარზე გაყიდული ჭყონიასეული „კოკა-კოლით“ ინაყრებენ ტაშისკვრის მერე მუცელს...

დღეს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარედ ვარ არჩეული, მაგრამ თავმჯდომარეობა მარტოდენ სტატუსი და პასუხისმგებლობაა ჩემთვის, და ეს არ ნიშნავს იმას, რომ თანამდებობრივ „ჩარჩოებში“ მოვექცე და არ ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ!

ეს ჩემი პოზიციაა და თუ ვინმეს არ გესიამოვნებათ, გნებავთ, სააკაშვილის ჩაი მიირთვით და გნებავთ, - ცივი წყალი. „გაატარეთ“ ჩემი ნათქვამი და გაიარეთ.

უბრალოდ, იმდენად დააბრმავა გვარამიას შარდმა და გირჩის შარვალჩახდილმა ჰაბიტუსმა ბევრი თქვენგანი, რომ პოლემიკაც არ მსურს თქვენთან.

დეტალურ საუბარს არ დავიწყებ ჟურნალისტურ სტანდარტებზე, მაგრამ რასაც ზოგ-ზოგიერთი ჟურნალისტი თუ ე.წ. ჟურნალისტი კადრულობს დღეს, - არაა ჟურნალისტიკა!

დიახ, ვწუხვარ და ცალსახად, - არც გურამ როგავას ცემაა მოსაწონი საქციელი და არც ზონდერად ქცეულ, ჟურნალისტის მანტიაში შეფუთულ მაკა ჩიხლაძეზე თავდასხმაა საქები, არც სხვების მიმართ გამოვლენილი უხეშობაა მაღალი სტანდარტის მაჩვენებელი, მაგრამ **სად იყავით მაშინ, როცა მთელი ამ წლების განმავლობაში სააკაშვილისა თუ მისი სექტის მიმდევრები ღიად და დაუფარავად აბულინგებდნენ ანგელოზივით გოგო-ბიჭებს აქციებზე და მიკროფონებს უტრიალებდნენ ცხვირწინ?!**

სად იყავით მაშინ?

არც შუა რუსთაველზე დანთებული კოცონია მშვიდობიანი აქცია და არც პოლიციელისთვის, მის ცოცხლად დასაწვავად ნასროლი „მოლოტოვის კოქტეილია“ მშვიდობიანი აქციის თანმდევი ქმედება!

არც ქვით სავსე ბოთლების პოლიციელთათვის სროლაა დემოკრატია და დიახ, არც მიკროფონის პირში ჩათხრაა ჟურნალისტიკა იმ დროს, როცა არც მავანთა ნათქვამი გესმით და არც სურვილი გაქვთ გაგების!

საინტერესოა, ივანიშვილი მაშინ მოსაწონი იყო იმ ტელეხელმღვანელებისთვის თუ პოლიტიკური პარტიების ლიდერებისთვის, როცა მასთან ერთად იყვნენ „კოალიციაში“ და მსუყე ლუკმებს ითვლიდნენ?

დიახ, **ჯანგირაშვილსაც** ვგულისხმობ და **აქუბარდიასაც**. **ხიდაშელსაც** და **გახარიასაც**. სხვებსაც.

მე თამამად ვწერ ამ სიტყვებს!

დიახ, როცა არავინ იცნობდა ბიძინა ივანიშვილს და როცა ჩანასახიც არ იყო შექმნილი „ქართული ოცნებისა“, სწორედ მაშინ ვწერდი მის ღვაწლზე და მის მიერ აშენებულ სამებაში ვანთებდი სანთლებს საქართველოს საკეთილდღეოდ!

დიახ! როცა „ალიას“ მსგავსად, „ქრონიკული ალიაქოთი“ ატეხეს და არცთუ ცოტა ახსენებდა ივანიშვილის სახელს აუგად, სწორედ მაშინ ვწერდი იმას, რასაც ვფიქრობდი!

დღესაც იმ აზრზე ვარ, რასაც 2007-2010 წლებში ვწერდი და ვამბობდი!

სხვათაშორის, 2003 წლის ნოემბერში, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ მეორე დღესვე, თუ ვინმე იყო პირველი სტუდენტურ-ახალგაზრდული მოძრაობიდან, ვინც გაბედა და მაშინდელ „დემოკრატიის შუქურად“ წოდებულ სააკაშვილს დაუპირისპირდა, და ვისაც თემურ ალასანიას დისშვილმა ხელები უქნია უნივერსიტეტის ბაღში ჩატარებულ მიტინგზე, - **მე და დაჩი ცაგურია გახლდით!**

ამ სიმართლით მოვდივარ და არც კრიტიკის შემშინებია დღემდე.

სათქმელი უნდა ითქვას!

დღეს რაც ხდება ე.წ. ოპოზიციისა თუ ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთა მხრიდან - არ არის მშვიდობიანი!

დღეს როგორც იქცევიან ჩემი კოლეგები თუ ე.წ. კოლეგები (პარტიული დავალებების შესაბამისად!), - არ არის ჟურნალისტიკა!

დიახ, მეც მინდა ევროპა, მაგრამ არა შანტაჟითა და ცალ ფეხზე დგომით!

არა - როთისა და „გიჟიმანტასის“ კარნახით!

არა - „მაიდნის“ სცენარითა და გადამწვარი რუსთაველით!

არა - ყავლგასული პოლიტიკოსებისა და „ვივა-მედში“ დაწერილი სცენარით!

P.S.

ეს არის ჩემი სიმართლე და სხვა სიმართლე ტყუილია! დღეს, როდესაც გლობალურად უმძიმეს პერიოდში გვიწევს ცხოვრება და ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ვართ, ესეც უნდა ითქვას: ჩვენი მომავალი ევროპაშია! პოლიციელი გმირია! და, რა თქმა უნდა, - ჟურნალისტი(!) ხელშეუხებელია!

გიორგი მამაცაშვილი
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე

წინო ახობაძის ბლოგი

ჰოდა, რისი თქმა მომესურვილა..

ანუ:

თუ მე მინდა ევროპული მომავალი... არადა, ქართული მინდა, მაგრამ ნუ, ცოტა ხნით წარმოვიდგენ, რომ ჩემი ცხოვრების მიზანია - გავხდე ევროპელი.

ჰოდა, გამომივიდა, აი რა...

34 ოქროს წესი, რომლის დაცვის შემთხვევაშიც, დაუყოვნებლივ მიგვიღებენ ევროპაში და თუ კარგად მოვიქცევით, აუზში წყალსაც ჩაგვისხამენ!

თქვენი არ ვიცი და მე უკვე ძალიან ყელში მყავს ეს მზია და მზიას ბედზე მოტირალები.

რატომ არ ჭამს? ვის აშანტაჟებს ამით?

მე როცა ადამიანს ვაწყენინებ ან რაიმეს დავაშავებ, სასჯელს ვიღებ თავჩახრილი, საყვედურსაც და მინდა ხოლმე, მიწა გამისკდეს! მინდა ხორცები დავიგლიჯო, სირცხვილით ვკვდები, თავი მეზიზღება ხოლმე...

გონორით და ხელის ქნევით კი არა, ენა მებმევა და აღარ ვიცი, რა ვქნა, თავი რით ვიმართლო...

ჰო, რა იყო, ანგელოზი ხო არა ვარ, იმდენი შემშლია ცხოვრებაში, ეკლესიაში მისვლის მეშინია, მოძღვარმა არ გამომაგდოს იქედან!

ჰოდა, ეს მზია შეუმცდარია?

ზეადამიანია?

წმინდანია?

და ვინც გინდა იყოს, - რატომ შიმშილობს?

იმის დემენციის და ანორექსიის არ იყოს, თავი რომ მოგვაბეზრა! და დღეს კია ბუღასავით!

აჰა, ბატონო, ჩემი სადისტური პოზიცია და ვინც შეურაცხყოფილნი დარჩით, ეხლა ჩემი ამ ბოროტი პოსტით, წადით და იტირეთ მზია, რომელიც ჯანმრთელია (ღმერთმა კარგად ამყოფოს).

ესე იგი, თუ სხვა დაწერს რომ „ციხეში ბავშვებს აწამებეეეენ"-ეს ყოფილა სიმართლე და ჭეშმარიტება და მე რომ დავწერ რაღაცას, ესაა დემაგოგია თურმე, ტაში!

თუ მინდა გავხდე ევროპის ნაწილი:

1. უნდა გავიდე ქუჩაში და სრულიად უსაფუძვლოდ მოვითხოვო - დაინიშნოს ახალი არჩევნები! არ მაინტერესებს ფაქტი-მაქტი, მინდა და მორჩა! გასაგებიაა? აეგეთი ხოში მაქვს! მთავრობა ვალდებულია შეასრულოს ჩემი მოთხოვნა! იმიტომ, რომ მე ასე მინდა! არ არის საკმარისი?

2. წინ უნდა დავიდო ტელეფონი, სახეზე დავიდო ფილტრი (უამისოდაც შეიძლება, თუ ძალიან მეჩქარება და ნერვებს ვერ ვიმორჩილებ) და ჩავწერო ვიდეო, სადაც, რაც შეიძლება, ბევრჯერ უნდა ვიხმარო ისეთი სიტყვები, როგორიცაა "შეგე...ით"! "მინდა მოკვდეთ"! "მეზიზღებით"! "მონებოო"! "გაითხარეთ პრო...ში"! "ქოცნახირო"! და ასე შემდეგ... მერე ეს ვიდეო უნდა დავდო ტიკ-ტოკზე და ვითვალო ლაიქები! რაც მეტი მექნება, ესე იგი-სწორ გზაზე ვდგავარ!

3. კანონზე, რომელიც არ წამიკითხავს, უნდა ვიყვირო, რომ რუსულია!!! თუ ჩემეკითხებიან, უნდა ვუპასუხო, რომ ტანით ვიგრძენი! (ან რატომ უნდა წავიკითხო, მეტი საქმე არა მაქვს? მითხრეს რუსულია, ესე იგი-რუსულია! უნდა ვიარო ქუჩაში და დავიმართო საკვერცხეების ანთება, მხოლოდ იმიტომ რომ სამნიძემ არ შეავსოს დეკლარაცია! ვიიშ!

4. გულები უნდა ვუწერო გოგონათა კვარტეტს, რომლებიც ასრულებენ სიმღერას: "ცხოველებო, ნაბოზვრებო"!... (და თუ ვიცეკვებ ამ სიმღერაზე, უკვე შვეიცარიაში ვარ, ჩათვალეთ! წინ ევროპისკენ!)

5. ქალაქის დამლეწავებს და პოლიციელებზე ქვების მსროლელებს უნდა ვეძახო აღუა ბავშვები და რომ დაიჭერენ, ვიღრიალო „ბავშვები გამოუუშვიით, განდონებოო"!! (სუფთა ევროპულია ესეც)

6. ყველაშვილს დავცინო, უდიპლომო ვეძახო და ტაში ვუკრა დიპლომიან გოგო-ბიჭებს, რომლებიც ღამე ქუჩაში დადიან და გვეხვეწებიან - "გამოდიით, თორემ რუსეთში გაიღვიძეებთ"

7. ვიარო რომელიმე მარშით, - მთავარია, დამიძახონ;

8. შევვარდე სკოლებში და მოწაფეები დავპატიჟო აქციებზე;

9. გულები ვუწერო სალომე ზურაბიშვილს, რომელიც ადრე ლავროვს ეფერებოდა სიტყვებით, და "რუსული" ვეძახო მთავრობას..

10. დავივიწყო - მიშა როგორ ეფერებოდა რუსებს...

11. ვაგინო პუტინს ფეისბუქის კედელზე და თუ მეტყვიან - წადი და უკრაინაში ებრძოლე რუსებსო, ვუპასუხო, რომ არ მაქვს სამხედრო გამოცდილება;

12. დავაჰაჰავო ან დავგულო ის პოსტები, სადაც საჭმელზე დაფურთხებისკენ მომინოდებენ!

13. ვწერო, რომ: „ის, რაც არ მოგვწონდა ნაცების დროს, ახლა მეორდება (!). ეს პუნქტი არ მოგესმათ და არ მოგეჩვენათ....

14. ლაზარე უნდა ვაღიარო გმირად!

15. უნდა გავიფიცო! (ანუ, ოჯახის წევრებს აღარ მოვუარო, რა). აბა, მე მეტს ამ ეტაპზე ვერაფერს ვიზამ და...

16. უნდა ვიცეკვო ხორუმი.

17. ტაში უნდა დავუკრა ილიკო უმცროსს და დავეთანხმო, რომ იგი საბჭოთა დროს იყო მონა.

18. გამოვაცხო კუბოს ტორტი და ქუჩაში ვჭამო;

19. დავწვა კუბო;

20. ჩაქუჩით დავამტვრიო ხის კრემლი;

21. უნდა გავიცინო იმ გურული ქალის, მგონი ირმა ჰქვია, - ხუმრობებზე. აი ევროპა რო უნდა რა, იმ ირმაზე ვამბობ - ყაბალახიანზე;

22. პოლიციელს უნდა ავარტყა სახეში;

23. უნდა მოვინდომო ამ მთავრობის აყირავება, გავიდე რევოლუციის მოსაწყობად და თუ დამიჭირეს, ვიყო დედას იმედზე, რომელიც მერე დაწერს „ოეე, თქვე ყ"ეებო, გამოუშვით ჩემი ბიჭი, თორე დედებს მოგი...ნაავთ"!

24. უნდა დავიჯერო, - ესენი რომ წავლენ, მოვა ვინმე, მაგალითად, გახარია და დაალაგებს სიტუაციას რუსეთთანაც, ევროპასთანაც და ამერიკასთანაც. თან ისე, რომ ყველა ესენი კმაყოფილები დარჩებიან!

25. ასევე უნდა დავიჯერო, რომ მოვა კოალიცია, ოღონდ ამ კოალიციაში სუუულ ახალი სუფთა სახეები იქნებიან (!)

26. ნაძვის ხესთან არ მივუშვა ბავშვები;

27. გამიხარდეს, როცა ვინმეს ასანქცირებენ;

28. აღვშფოთდე მხოლოდ მაშინ, როცა ჩემს ახლობელს დაიჭერენ, ან ჩემი პოლიტიკური გემოვნების ადამიანებს და ფეხზე დავიკიდო ის ბიჭები, ვინც დღემდე იხდის სასჯელს დროშის დაწვის და სანაიასთან კონფლიქტის გამო (!)

29. ღამე ვიარო ქუჩაში იმ რაღაცა გრძელი სასტვენით, ჩავბერო და მთელ ხმაზე ვიბღავლო: -გააამოოოდიიიიით!

ფეხზე არ მკიდია, თუ ამ დროს ვიღაცამ ბავშვი დააძინა ან მძიმე ავადმყოფი ჰყავს? მადარდეე....

30. აქციაზე უნდა ვიყვირო, რაც პირზე მომადგება და თან დავსძინო, რომ "ამ ქვეყანაში არ არის სიტყვის თავისუფლებაა"!

31. უნდა ვუსმინო, როგორ მარწყევენ თავზე აქციებიდან და მეორე დღეს - აღდგომაზე ან შობაზე, ეკლესიაში რომ გალობენ - თვალზე ცრემლი უნდა მომადგეს (!)

32. განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს ვეძახო: "რუსეთის მონააავ"!

33. ვიღაცა გათხოვილ მიხაილ როთს უნდა დავუჯერო, რომ ჩემზე მეტად უყვარს და ადარდებს ეს ქვეყანა და კობახიძის ფოტო უნდა დავდო შემწვარ ქათამზე, ییییییი...

34. უნდა ვენდო სალომეს და ნიკას! ის რო ამას რეზიდენტ ცუდქალას ეძახდა ადრე და ეხლა რომ მხარდამხარ "იბრძვიან რეჟიმის წინააღმდეგ"....

აი, ესენი უნდა ვქნა, თუ მინდა ევროპაში.

P.S.

იცით, რომელი დრო მენატრება ტკივილამდე? მეგობართან რომ მიხვიდოდი, ჩამოჯდებოდი სამზარეულოში შინაურულად, გემრიელად და არ გეშინოდა, რომ ყავაში ჩაგიფურთხებდა....

კვირის ფრაზა

ირაკლი კობახიძე
საქართველოს პრემიერ-მინისტრი

„ამ შემთხვევაში, საუბარია დანაშაულზე, რომელიც ღიად ჩაიდინა კონკრეტულმა პირმა კამერების წინაშე.

ანუ აბსოლუტურად ცხადია ეს დანაშაული.

მე ყველას მინდა ვუთხრა, ამას პრევენციისთვისაც აქვს მნიშვნელობა, მე ამას ვამბობ როგორც იურისტი.

როდესაც ადამიანი შეურაცხყოფს პოლიციელს, იქ უნდა იყოს მაქსიმალურად მკაცრი ზომები გამოყენებული.

იმისათვის, რომ სახელმწიფო იყოს დაცული, პოლიცია გამოხატავს სახელმწიფოს, პოლიციაზე და პოლიციელზე ხელის აღმართვა მაქსიმალურად მკაცრად უნდა იყოს დასჯილი.

ამას ადრე აკეთებდნენ გახარიას ხელით, სხვა ფორმით და ახლა ცდილობენ, რომ ასეთი პროვოკაციებით შეასუსტონ ჩვენი პოლიცია.

რა თქმა უნდა, ვერავის მივცემთ ამის საშუალებას, - ვერც ელჩებს, ვერც ჩინოვნიკებს და ვერც რადიკალურ ოპოზიციას!

და ვერც ენჯეოებს, რომლებიც უცხოეთიდან ფინანსდებიან ასეთი პროვოკაციების მოსაწყობად!"

ბატონ ფიშერს მინდა მივმართო, „ნაცმოძრაობის" წარმომადგენელია გერმანიის ელჩი საქართველოში, ბატონი ფიშერი. თქვენს პოლიციელს თქვენმა მოქალაქემ სახეში რომ სილა გაარტყას, იმას სახლში გაუშვებთ? თუ ეს საქართველოა და აქ მოსულა, როგორც გინდათ, ისე შეგიძლიათ კანონები გადაათამაშოთ? და თქვენ გგონიათ, რომ აქ ჩვენ წესრიგი არ გვაქვს, აქ პოლიციელს ღირსება არ გააჩნია?

ირაკლი ზარქუა
პარლამენტის წევრი

უსამართლო, ქედმაღლურ ევროპასთან არ უნდა ვითანამშრომლოთ!

„სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს“ განცხადება საქართველოს მიერ PACE-ში მუშაობის შეწყვეტის შესახებ

„სამეგრელოს უხუცესთა საბჭო“ და საბჭოს თავმჯდომარე ფრიდონ ინჯია საქართველოს დელეგაციას ულოცავს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმურობის აღიარებას და ამასთანავე, იწონებს ქართული მხარის გადაწყვეტილებას ასამბლეის დატოვების შესახებ, როგორც დირსებით ნაკარნახევ ნაბიჯს.

საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დატოვება უაღრესად დიდი მნიშვნელობის ფაქტია. ამიტომ ქართველმა ხალხმა მას ობიექტური შეფასება უნდა მისცეს.

ქართული დელეგაციის დემარში გამოიწვია ასამბლეის გადაწყვეტილებაში ჩადებულმა დათქმამ, აპრილამდე ხელახალი არჩევნების ჩატარების შესახებ.

დელეგაციამ ევროპას აღიარებინა, რომ საქართველოში 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები ლეგიტიმურია. ამ აღიარებას ასამბლეა ვერ გაექცევა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ, მათი გადაწყვეტილებით, პარლამენტი აპრილამდე ლეგიტიმური იქნება და აპრილის შემდეგ ლეგიტიმაციას დაკარგავს, რაც, რა თქმა უნდა, აბსურდია.

ლეგიტიმაცია ობიექტურ რეალობაზეა დამოკიდებული და არა სუბიექტურ აღიარება-არაღიარებაზე.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილებაში ჩადებული აღნიშნული დათქმა სხვა არაფერია, თუ არა იძულება; თუ არა საშინაო საქმეებში ჩარევა; თუ არა სუვერენიტეტის ხელყოფა. ეს დათქმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასაც, ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის ნებასაც და საღ აზრსაც.

„სამეგრელოს უხუცესთა საბჭო“ საქართველოს დელეგაციას ულოცავს ასამბლეის მიერ არჩევნების ლეგიტიმურობის აღიარებას. ამასთანავე, იწონებს ქართული მხარის გადაწყვეტილებას ასამბლეის დატოვების შესახებ, როგორც ღირსებით ნაკარნახევს, მით უმეტეს, რომ ეს გადაწყვეტილება ისევე, როგორც საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილება, ერთი დათქმითაა მიღებული. კერძოდ, თუ PACE შეცვლის თავის ქედმაღლურ და უსამართლო დამოკიდებულებას ქართველი ხალხის მიმართ, საქართველო მზად არის თანამშრომლობისთვის.

„სამეგრელოს უხუცესთა საბჭო“ მხარს უჭერს ევროპასთან თანამშრომლობას მხოლოდ თანაბარუფლებიანობისა და პარტნიორობის პირობებში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უფროსისა და ხელქვეითის დამოკიდებულებით“!

„სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს“ სახელით, უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე

ფრიდონ ინჯია

Deep State - ფარული დასი?

Deep State-ის სიტყვასიტყვითი თარგმანი ვევრს არაფერს გვეუბნება, – არც ქართულად (ღრმა სახელმწიფო), არც რუსულად (Глубинное государство), არც სხვა ენებზე და არც ორიგინალშია სრულად გასაგები ინგლისურენოვანთათვის.

მასიური ინფორმაციის საშუალებების (პრესა, ტელევიზია, სოციალური ქსელები), გამომცემლობების და ელექტრონული ენციკლოპედიების (ვიკიპედია და სხვა) მფლობელები, როგორც წესი, ბლოკავენ (ყოველშემთხვევაში, დღემდე ასე იყო) „ღრმა სახელმწიფოს“ ნებისმიერ ისეთ ინტერპრეტაციას, მის სიღრმეებში ისეთ ძიებას, რომელიც მათსას არ ემთხვევა, მათ ინტერესებში არ შედის. მათებური „განმარტება“ ყოველთვის იყო და არის დღესაც შემდეგნაირი: „არსებობს კი საერთოდ ეს ე.წ. ღრმა სახელმწიფო? ეს ხომ კონსპიროლოგიური, ანუ შეთქმულების თეორიაა, რომლის უკანაც, ზოგჯერ, რეალური ფაქტებიც იმალება“!

ღრმა სახელმწიფოს კონცეფციის მომხრეები კი თვლიან, რომ ნებისმიერი მთავრობა ფიქციაა, რომ სახელმწიფოებს რეალურად რუხი კარდინალები მართავენ. ამ მოვლენის შესახებ, ჯერ კიდევ 90 წლის წინათ, **პრეზიდენტი რუზველტი** ამბობდა: **„ყველა დროში, მით უფრო ახლა, ვიდრე ოდესმე, მსოფლიოს მართავენ, პირველ რიგში, საიდუმლო ორგანიზაციები“! ამ რუხი კარდინალების ძალის აღმნიშვნელად დღემდე ყველაზე ხშირად იხმარებოდა ტერმინი – „სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი“,** და სწორედ, დიდი ფულისა და დიდი ძალის მქონე ამ კომპლექსს უწოდა **„ღრმა სახელმწიფო“** ბერკლის უნივერსიტეტის პროფესორმა **პიტერ დეილ სკოტმა** 2007 წელს თავის წიგნში – „გზა 9/11-ისკენ: სიმდიდრე, იმპერია და ამერიკის მომავალი“. 2014 წელს გამოქვეყნებულ მის პოლიტიკურ სტატიას კი უკვე სათაურად ჰქონდა – **„სახელმწიფო, ღრმა სახელმწიფო** და მსოფლიო უოლსტრიტი“.

უმრავლესობისთვის გაუგებარია და, იმავდროულად, წარმოუდგენელიც, – თუ, როგორ შეიძლება გარდა არსებული, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლებისა, კიდევ არსებობდეს რაღაც „ღრმა სახელმწიფო“ ან, გნებავთ, კიდევ ერთი „სახელმწიფო სახელმწიფოში“ და ის განაგებდეს ქვეყნის ბედს: უნდა, – ომს იწყებდეს სადაც მოისურვებს, უნდა, – არასასურველ მთავრობას ამხობდეს, უნდა, – პანდემიებს იგონებდეს, უნდა, – მთელ მსოფლიოს ცრიდეს გამოუცდელი ვაქცინებით და უნდა, – მსოფლიო მოსახლეობის 90 %–ით გასაწყვეტ გეგმებს აწყობდეს! ამიტომ ტერმინს – ღრმა სახელმწიფო, მეტი სიცხადისთვის, მისი არსის უკეთ გასაგებად, სხვადასხვა სინონიმებს უძებნიან, როგორებიცაა: მსოფლიო (გლობალური, ფარული, საიდუმლო) მთავრობა, გლობალური ომის პარტია, ფარული ხელი, 300–თა კომიტეტი, ზემოთ ნახსენები სამხედრო–სამრეწველო კომპლექსი და სახელმწიფო სახელმწიფოში.

შეერთებულ შტატებში **ღრმა სახელმწიფოთი** სხვა ტერმინების ჩანაცვლება **დონალდ ტრამპის** ინიციატივით დაიწყო ჯერ კიდევ 2016 წელს, მაგრამ განსაკუთრებით ახლა მოიკიდა ფეხი – 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ.

ჯერ კიდევ პირველ გაპრეზიდენტობამდე, 2014 წელს და ინაუგურაციის შემდეგაც (2017 წლის იანვარში) ტრამპი იმუქრებოდა ფარმკომპანიების საქმიანობის გამოძიებით და ვაქცინების უსაფრთხოების მიზნობრივი ჯგუფის თავმჯდომარედ **რობერტ კენედი უმცროსი** დანიშნა (ახლა კი – ჯანდაცვის მინისტრად წარადგინა იგი; დაამტკიცებს თუ არა სენატი მის კანდიდატურას, 31 იანვარს გადაწყდება). ღრმა სახელმწიფოს ერთ–ერთი შემადგენლის – ფარმინდუსტრიის წინააღმდეგ ჩაფიქრებული ზომების გატარების საშუალება, ჩვენდა სამწუხაროდ, ტრამპს არ მისცეს, პირიქით – ღრმა სახელმწიფომ პანდემიაც მოახვია თავს და საყოველთაო იძულებითი ვაქცინაციაც, ეკონომიკაც ჩამოუშალა „კოვიდსაწინააღმდეგო“ ზომებით (ე.წ. „ლოქდაუნებით“), არჩევნებიც გაუყალბა, ხოლო მერე, 2024 წელს ტყვიაც არ „დაიშურა“ მისთვის წინასაარჩევნო მიტინგზე, რასაც სასწაულად გადაურჩა ამერიკის მომავალი პრეზიდენტი.

ამიტომ ასეთ ძალასთან დაპირისპირება, რომელიც ყველაფერზეა წამსვლელი და, რომელსაც ფესვები ღრმადა აქვს გადგმული თითქმის მთელ მსოფლიოში (პირველ რიგში, ამერიკასა და რუსეთში), მით უფრო, მისი დამარცხება მხოლოდ ერთ სახელმწიფოში, თუნდაც ისეთ ძლიერში, როგორიც შეერთებული შტატებია, როგორც ამას ტრამპი გვპირდება, არათუ ძალზე ძნელი, ის შეუძლებელი იქნება! **აუცილებელია მინიმუმ ორი სახელმწიფოს – აშშ და რუსეთის ერთობლივი და ერთდროული შეთანხმებული ძალისხმევა.** სხვანაირად, ეს ძალა უსათუოდ მოახერხებს მათ წაკიდებას ერთმანეთთან და კაცობრიობის გადაჩეხვას მესამე მსოფლიო ომის უფსკრულში.

წერილის მთავარ სათქმელთან ახლა მივდივარ, იდრეც შეიძლებოდა, მაგრამ **მინდა, ყველამ კარგად გაიაზროს, თუ როგორი ძალისთვისაა შერჩეული ახალი ქართული სახელი – „ფარული დასი“.** ბოლო ხანებში, ღრმა სახელმწიფოს ნაცვლად, პრესაში იწყეს ამ ტერმინის ხმარება, რამაც კიდევ უფრო ძნელად გასაგები გახადა, თუ რას ნიშნავს „ღრმა სახელმწიფო“. მისი არსიდან, ანუ აქამდე თქმულიდან გამომდინარე, „ღრმა“ თავისუფლად შეიძლება სხვა სიტყვებით – „ფარული“ ან „საიდუმლო“, შეიცვალოს, მაგრამ „სახელმწიფოს“, „მთავრობის“ ან, თუნდაც, „კომპლექსის“, მათში ჩადებული ღრმა შინაარსიდან გამომდინარე, სიტყვა – „დასით“ ჩანაცვლება, გვარიანი შეცდომაა და, აი რატომ:

სიტყვა „დასი“ დადებითი შინაარსის მატარებელი სიტყვაა, ვინაიდან, როგორც წესი, ის ასოცირდება თეატრთან, მუსიკასთან და, ამიტომაცაა ის დაწყვილებული შემდეგ სიტყვებთან: თეატრალური ან მსახიობთა დასი, მუსიკალური ან დამკვრელების დასი (დასი არის იგივე „**труппа**“ რუსულად და „**troupe**“ ინგლისურად). ქართულში ის იხმარებოდა და დღესაც იხმარება საზოგადოებრივი დაჯგუფების, პოლიტიკური მოძრაობის, მიმდინარეობის თუ ორგანიზაციის აღმნიშვნელადაც, როგორც, მაგალითად, პირველი (მეორე, მესამე) დასი, სახალხო დასი, ქართული დასი. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვიხმაროთ როგორც მსახიობთა ჯგუფი, ისე მსახიობთა დასი (ჯგუფსა და დასს შორის განსხვავება ის არის, რომ დასი ჩამოყალიბებული, ორგანიზებული ჯგუფია, კოლექტივი), მაგრამ არაფრით არ შეიძლება მისი დაწყვილება ისეთ სიტყვებთან, რომლებიც უარყოფითი, მიუღებელი, დანაშაულებრივი და ა.შ. შინაარსისანი არიან – მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ კრიმინალების ჯგუფი, დაჯგუფება, მაგრამ რაც არ უნდა ორგანიზებული იყოს ეს დაჯგუფება ერთ კოლექტივად, არავის არ მოუტრიალდება ენა მათზე თქვას კრიმინალების დასი ან, გნებავთ, **ფარული დასი,** ანუ არ შეიძლება **დანაშაულებრივი(!) საქმეების ფარულად ჩამდენთა დაჯგუფებას,** რომელსაც ამერიკის პრეზიდენტმა ომი გამოუცხადა საჯაროდ, **ეწოდოს დასი!**

„ფარული“ და **„დასი“ შეუთავსებელი სიტყვებია, თითქმის, – ოქსიმორონი! ამიტომაც მათი დაწყვილება, ჩემი აზრით არასწორია და მიუღებელი!**



იაკობ ლეჟავა,
31 იანვარი, 2025

P.S. არ არის აუცილებელი ყველა უცხოური ტერმინის თარგმნა. ალბათ, ქართული შესატყვისის ძებნას აჯობებს დავტოვოთ ორიგინალი – Deep State, მით უფრო, რომ ამ ფორმით იგი უკვე დამკვიდრდა მთელ მსოფლიოში.

ი. ლ.

ნამახვანჰესი ქართველმა ხალხმა უნდა ააშენოს!

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი კობახიძეს

ბატონო პრემიერო!

როგორც სანდორმაყალი საუბლიბები ტყვონრნებიან, კომპანია „ენერგო-საერთაშორისო არნატრაში საქართველოს 383,2 მილიონი დოლარი მოიგო.

თქვენთვის და ჩვენი ხალხისთვის ცარიელ არის ცნობილი, რომ კომპანია „ენერ“ უნდა აშენებინა ნამახვანჰესი, რასაც ენინააღმდეგებოდა „როინის ხეობის დამცველები“ და... სხვებიც.

მათ მიერ პარლამენტში გამოუგზავნილი კოლექტიური სარჩელის საფუძველზე პარლამენტის ორი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე მოეწყო ნამახვანი ჰესის პროექტის განხილვა, რასაც ესწრებოდნენ „როინის ხეობის დამცველები“.

სხვა დანტერესებულ პირებთან ერთად განხილვაში მონაწილეობდა ამ წერილის ავტორიც.

„როინის ხეობის დამცველებს“ არ ჰქონდათ ერთმანეთთან შეთანხმებული პოზიცია. ზოგი მოითხოვდა, ჰესი საერთოდ არ აშენებულიყო, ზოგი რაღაც პირობებით აშენების მომხრე იყო.

პროექტის განხილვისას ჩემი, როგორც პროფესიონალი ჰიდრომშენებლის, აუცილებლობა გამოიფინა ამ დაკვეთა, რომ ჰესის მსახურეობენები ხელოვნურად ფეო გამრდილი: პროექტის მახეფდეთ. შეფასარ რეიონზე, 100 მეტრის დამნეველ პირობებში. ნამახვანჰესის სიმძლავრეზე

ვაგრძელებთ 2025 წლის 15 იანვრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ, ამავე სათაურის მქონე წერილს. დავადგინეთ, რომ ნამახვანჰესის სიმძლავრე 131 მგვტ-ია. აქედან გამომდინარე ჰესის აშენება დაახლოებით 260 მლნ დოლარი უნდა დაჯდეს.

ნამახვანჰესი ქართველმა ხალხმა უნდა ააშენოს!

ერთი აქციის ღირებულებად 1000 დოლარის დანიშვნა, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რადგან იგი ყველაზე მისაღები იქნება ჩვენი ხალხისთვის. ასეთი დაშვებით დაახლოებით 260 ათასი საქართველოს მოქალაქე შეიძენს ერთ აქციას.



ცოდნაზე და ინტელექტზე დაფუძნებული, ქვეყნის ეკონომიკის მშენებელი 260 ათასი საქართველოს მოქალაქე ის ძალაა, რომელიც არ დაუშვებს ჩვენს ქვეყანაში სამამულო და სამოქალაქო ომებს, უკანონობას და რყევებს.

ჰესის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიის ერთ კვტსთ-ში ხელისუფლება იხდის 0,065 დოლარს (ასე უხდიან უცხო ინვესტორებს). ე.ი. ჰესის შემოსავალი იქნება (760 მილიონი კვტსთ გამრავლებული 0,065 დოლარზე) 49,4 მილიონი დოლარი. ერთი აქციის მფლობელის წლიური შემოსავალი – 190 დოლარი, ხოლო ერთ თვეში 16 დოლარი იქნება.

16 დოლარი თვეში არის ძალიან დაბალი შემოსავალი, მაგრამ 1000 დოლარს უფრო მომგებიანად ვერსად ჩადებთ. მთავარი ის არის,რომ შემოსავალი არის უშრომელი და მუდმივი. აქციის მფლობელი არის საქართველოს მეტად მნიშვნელოვანი ქონების თანამესაკუთრე, რომელსაც ვერავინ წაგართმევს და ვერც გაგიყიდიან. გაუჩნდება რა თუნდაც მიზერული შემოსავალი, ჩვენი მოქალაქე საზღვარგარეთ აღარ გაიქცევა.

ნამახვანჰესის მშენებლობა საქციო საზოგადოების დაფუძნებით აღმასრულებელი ხელისუფლების ინტერესებშიც არის. ხელისუფლებამ უნდა შეიძინოს აქციები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის და შესაბამისად შეუწყვიტოს მათ დახმარების მიცემა.

760 მილიონი კვტსთ (გამრავლებული) 344 გრამ პირობით საწვავზე, უდრის 261440 ტ. დიზელის საწვავს, რაც მეტად მნიშვნელოვანია გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესობაზე და ატმოსფეროში მავნე აირების გამოფრქვევის შემცირების საქმეში (წლიურად).

დასასრული მე-15 გვერდზე

პეროიანი დოიებისთვის კიდევ ერთხელ უნდა გამოვაქვეყნო ნუსხა, თუ ვის რა უკეთებია ქართული კულტურისთვის. წაკითხვით დაიღლებიან. სპორტის შემდეგ კულტურაა და ჩაიკითხონ ბოლომდე. მერე სინდისის სარკეში ჩაიხედონ. გაგაგებინებთ, რა შეუძლია კულტურასო. კულტურას რაიმე რომ შეგძლებოდათ, მაგიტომ გაგიკეთათ, რაც ქვემოთ სიაშია მოცემული. კოლექტიურ დოიებს ჩხირი არ გადაუბრუნებიათ და რევოლუციებით იმუქრებიან, ნაცების დასაბრუნებლად, თანაც გარე დავალებებით. დამატებით, ყველა ის ქვეყანა მოვიკითხე, ვინც ბიძინა ივანიშვილს ასანქცირებს და ძებნილებს იფარებს.

ამირან სალუქვაძე

ფონდ „ქართუს“ ქველმოქმედების სია!

იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის გამოსყიდვა აუქციონზე და სახელმწიფოსთვის გადაცემა - 1,6 მლნ აშშ დოლარი

სპორტი

ფონდ ქართუს საქველმოქმედო პროგრამები სპორტის სფეროში (2000-2022 წლები)

- ფარიკაობის ფედერაციის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა (2000-2019);
- წყალბურთის სპორტული კლუბი ,,ივერია''-ს საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა (2000-2019);
- სამბოს ფედერაციის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა (2000-2019);
- რაგბის კავშირის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა (2000-2019);
- რაგბის მოედნების შენახვის და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები (2009-2022);
- მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა (2000-2022);
- ჭადრაკის ფედერაციის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა;
- სროლის ფედერაციის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა;
- კრივის ფედერაციის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა;
- ძიუდოს ფედერაციის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა;
- ჭიდაობის ფედერაციის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა;
- კარატეს ფედერაციის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა;
- ხელბურთის ფედერაციის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა;
- მერჯევის სტადიონის რესტავრაცია (2009);
- საჩხერის სტადიონის მშენებლობა (2009);
- ,,შევარდენის'' რაგბის სანაკრებო ბაზის მშენებლობა (2009-2011);
- ავჭალის რაგბის სტადიონის მშენებლობა (2009-2011);
- რუსთავის რაგბის სტადიონის მშენებლობა (2010-2012);
- ასპინძის სარაგბო ბაზის მშენებლობა (2010-2012);
- მარტყოფის რაგბის სანაკრებო ბაზის და სასტუმროს მშენებლობა
- დიდი დიღმის სარაგბო ბაზის მშენებლობა (2010-2014);
- ქუთაისის რაგბის სანაკრებო ბაზის და სასტუმროს მშენებლობა (2011-15);
- თბილისის ,,ბასას'' სახელობის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების საწვრთნელი ბაზის რესტავრაცია (2012-2013);
- ფოთის რაგბის სატადიონის მშენებლობა (2012-2015);
- ჩოგბურთის ფედერაციის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა (2012-2019);
- გორის რაგბის სტადიონის მშენებლობა (2013-2015);
- ბათუმის რაგბის სტადიონის მშენებლობა (2013-2016);
- წყალოსნობის ფედერაციის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა (2013-2019);
- ქართული ჭიდაობის ფედერაციის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა (2013-2019):
- ვარკეთილში რაგბის ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობა (2013-2015);
- 2015 წლის ახალგზარდული ოლიმპიური ფესტივალის ხელშეწყობის პროგრამა (2015);
- ქუთაისის სარაგბო ბაზის აკადემიის მშენებლობა (2015-2019);
- დიღმის ,,ლოკომოტივის'' ბაზის მშენებლობა (2016-2019);
- თელავის რაგბის სტადიონის მშენებლობა (2016-2019);
- ნუცუბიძის პლატოზე რაგბის სტადიონის მშენებლობა (2016-2019);
- ქ. ზუგდიდში რაგბის სტადიონის და 50 ადგილიანი სასტუმროს მშენებლობა (2020-2022);
- შევარდენის სარაგბო კომპლექსის სარეკონსტრუქციო სამუშაოები (2022).

ჯამურად, მხოლოდ სპორტის განვითარებისთვის ფონდმა 126 მილიონი აშშ დოლარი.

ამ თანხას ემატება ევრო2024-ზე მერვედფინალში გასვლისთვის საფეხბურთო ნაკრებისთვის გამოყოფილი 30 მილიონი ლარი

კულტურა

ფონდ ქართუს ქველმოქმედების სია კულტურის სფეროში, 2000-2022 წლები

- ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალური ცენტრი, 2000-2011 წ.
- ოპერის და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, 2000-2017 წ.
- სომხური თეატრი, 2000-2022 წ.
- სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმი, 2000-2011 წ.
- ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, 2000-2011 წ.
- საბავშვო სათამაშოების მუზეუმი, 2000-2011 წ.
- ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სასწავლებელი, 2000-2012 წ.
- თოჯინების თეატრი, 2000-2012 წ
- რუსთაველის თეატრი, 2000-2019 წ.
- მარჯანიშვილის თეატრი , 2000-2019 წ.
- თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი, 2000-2019 წ.
- გრიბოედოვის თეატრი, 2000-2019 წ.
- ნ. დუმბაძის მოზარდმაყურებელთა თეატრი, 2000-2019 წ.
- მარიონეტების თეატრი, 2000-2019 წ.
- თითების თეატრი, 2000-2019 წ.
- მუსკომედიის თეატრი, 2000-2019 წ.
- სხვადასხვა ანსამბლების დაფინანსება, 2000-2022 წ.
- ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმი, 2000-2019 წ.
- აკაკი წერეთლის სახელობის მუზეუმი, 2000-2019 წ.
- ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, 2000-2019 წ.
- ვარძიის ისტორიული მუზეუმი, 2000-2019 წ.
- თავისუფალი თეატრი, 2012-2019 წ.
საჩხერის კულტურის ცენტრი, 2008-2009 წ.
- ბაკურიანის კინოთეატრის მოწყობა, 2009 წ.
- ურეკის კულტურის სახლის რესტავრაცია, 2009 წ.
- ნატანების საკონცერტო დარბაზი, 2009-2016 წ.
- დ. ბაბაზოვის სახელობის ებრაელთა მუზეუმი, 2013-2014 წ.
- ბათუმის დრამატული თეატრი, 2015-2018 წ.
- ბათუმის მწერალთა სახლი, 2016 წ.
- პროექტ ,,check in Georgia''-ს ხელშეწყობის პროგრამა, 2016 წ.
- ოზურგეთის თეატრი, 2016-2020 წ.
- "რვაფეხა''-ს რეაბილიტაცია ბათუმის ბულვარში, 2017-2019 წ.
- ზუგდიდის დრამატული თეატრი, 2018-2022 წ.
- დამსახურებული არტისტების და ხელოვანების საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა, 2000-2022 წ.

2000-2022 წლების ქველმოედების ფარგლებში ფონდის მიერ დაფინანდა:

- საქართველოს კამერული ორკესტრი;
- ანსამბლი „ქართული ხმები";
- ანსამბლი „უნივერსიტეტი";
- ანსამბლი „თბილისი";

ფონდ „ქართუს“ ქველმოქმედების სია!

- ანსამბლი „სავანე“;
- ანსამბლი „იმერი";
- ანსამბლი „რუსთავი";
- ანსამბლი „დიელო";
- ანსამბლი „რერო";
- ანსამბლი „ორერა";
- ანსამბლი „ივერია";
- ანსამბლი „რუსთავი“;
- ანსამბლი „ქუჩის მუსიკოსები“;
- ანსამბლი „ცისფერი ტრიო“
- კვარტეტი „ფიროსმანი";
- ანჩისხატის მგალობელთა გუნდი კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის;
- ასოციაცია „რევაზ ლაღიძის შემოქმედებითი კავშირი“;
- ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი;
- ვახტანგ კიკაბიძის, გურამ ბზვანელის და სხვა შემოქმედთა კონცერტები;
- ფესტივალები, კონცერტები და საიუბილეო საღამოები;
- ფესტივალები „მუზა 21“
- ფესტივალი „ჩვენებურები" - მწერლების და პოეტების შემოქმედებითი საღამოები და მივლინებები;
- ქართული ფილმის განვითარების ფონდი (არქივის ციფრულ მატარებლებზე გადაყვანა);
- თეატრის და კინოს ღვაწლმოსილი მოღვაწეების სოციალური დახმარებები;
- მხატვრების შემოქმედებითი დანატოვარის მოვლა-პატრონობა;
- რამდენიმე საინტერესო კინემატოგრაფიული პროექტი
- მწერლებისა და მხატვრების სხვადასხვა პროექტი და საქმიანობა;
- ნინო ანანიაშვილის ფონდი;
- ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სასწავლებლის შენობას ჩაუტარდა რემონტი, დაიფარა პედაგოგ მასწავლებელთა ხელფასები;
- საქართველოს პავილიონის მოწყობა ვენეციის საერთაშორისო ბიენალეზე 2004 წელს;
- კლასიკური მუსიკის ასოციაციის ხელშეწყობის მიზნით რადიო „მუზა". დაიფარა FM სიხშირეზე მაუწყებლობის ლიცენზიის მოპოვების ხარჯები; შესყიდულ იქნა რადიოაპარატურა, სხვა ტექნიკური მოწყობილობები და ავეჯი; თანამშრომლები უზრუნველყოფილნი იყვნენ ხელფასებით.

მთლიანობაში კულტურის სფეროში ფონდმა დახარჯა თითქმის 450 მილიონი აშშ დოლარი.

მწვანე პროექტები

თბილისის ბოტანიკური ბაღის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა, 2000-2020 წ.წ.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა - 2,9 მლნ აშშ დოლარი, 2000-2019 წ.წ.

თბილისის ბოტანიკური ბაღის სარესტავრაციო, ინფრასტრუქტურული და გამწვანებითი სამუშაოები, 2005-2021 წ.წ.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის სარესტავრაციო, ინფრასტრუქტურული და გამწვანებითი სამუშაოები, 2006-2019 წ.წ.

ბათუმის ახალგაზრდობის პარკის მოწყობა , 2007-2008 წ.წ.

ყუმისთავის (ე.წ. ,,პრომეთეს მღვიმე'') მღვიმის რეაბილიტაცია, 2009-2011

საჩხერეში ბუნების დაცვის სამსახურის თანამშრომელთა დაფინანსების პროგრამა, 2009 წლიდან, მიმდინარე

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის რეაბილიტაცია, 2013 წ.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების რეაბილიტაცია, 2014-2015 წ.წ.

ურეკის მინიატურების პარკის მოწყობა, 2014-2018 წ.წ.

თუშეთის დაცული ტერიტორიის რეაბილიტაცია, 2016 წ.

საგურამოს პარკის რეაბილიტაცია, 2016-2019 წ.წ.

ურბანული ტყის აღდგენის პროექტი 2020 - 2022 წ.წ. მიმდინარე

თბილისის ცენტრალური პარკის მოწყობა იპოდრომზე, 2020-2022, მიმდინარე

სულ მწვანე პროექტებზე, ჩემს ხელთ არსებული მონაცემებთ, ფონდმა „ქართუმ“ 52,4 მლნ აშშ დოლარი დახარჯა.

ჯანდაცვა

ფონდ ქართუს ქველმოქმედება ჯანდაცვის სფეროში

1. თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს რესტავრაცია, 2006-2009 წ.წ.

2. ურეკის ,,ემერჯენსი''-ს მშენებლობა, 2008-2009 წ.წ.

3. საჩხერის საავადმყოფოს მშენებლობა, 2009-2014 წ.წ.

4. ბორითის ,,ემერჯენსი''-ს მშნებლობა, 2011-2012 წ.წ.

5. საჩხერის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა, 2005-2013 წ.წ.

6. ურეკის ,,ემერჯენსი''-ს ფუნქციონირების ხარჯები, 2016-2020 წ.წ.

7. ბორითის ,,ემერჯენსი''-ს ფუნქციონირების ხარჯები, 2013-2014 წ.წ.

8. საჩხერის საავადმყოფოს დაფინანსების პროგრამა, 2005-2021 წ.წ.

9. აბასთუმნის ამბულატორიის მშენებლობა და ტექნიკური აღჭურვა, 2014 წ.

10. აბასთუმანში ფილტვის ქრონიკულ პათოლოგიათა მკურნალობის ცენტრის მშენებლობა, 2019 წ.

11. შტოპჩოვ-ის ფონდში გადარიცხული თანხა, 31,506,000 აშშ. დოლ., 2020 წ. (პლუს 1 მლნ აშშ დოლარი ბერა ივანიშვილი)

12. ფიზიკურ პირთა მკურნალობის პროგრამა, 2005-2022 წ.წ.

სულ ჯანდაცვის სფერო - 207,8 მლნ აშშ დოლარი

განათლება

ფონდ ქართუ-ს პროექტები საგანმანათლებლო სფეროში (2000-2022)

1. კონსერვატორიის პროფესორების საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა

2. ბოტანიკის ინსტიტუტის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა

3. მეცნიერებათა აკადემიის საქველმოქმედო დაფინანსების პროგრამა

4. თბილისის სამხატვრო აკადემიის რესტავრაცია

5. თბილისის კონსერვატორიის რესტავრაცია

6. საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მე-3 კორპუსის რესტავრაცია

7. საქართველოს მასშტაბით სკოლების ინვენტარიზაცია, კომპიუტერიზაცია

8. საქართველოს რეგიონებში სკოლების აღდგენისა და რესტავრაციის პროგრამა (33 სკოლა)

9. ბოტანიკის ინსტიტუტის მშენებლობა

10. თსუ-ს I კორპუსის რესტავრაცია

11. საჩხერის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მშენებლობა

12. ფრანგული სკოლის მშენებლობა

13. ფრანგული სკოლის ფუნქციონირების ხარჯები

14. წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის საწავლო უნივერსიტეტის ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამა

15. ქართველი სტუდენტების საფრანგეთში სწავლების დაფინანსების პროგრამა

16. ორგანიზაცია „მოქალაქე"-ს ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობის პროგრამა

17. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი (პროექტი გრძელდება)

18. ქართველის სტუდენტებისთვის „სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის" სასწავლო პროგრამის დაფინანსება

სულ - 299,119,006 აშშ დოლარი

ინფრასტრუქტურა

ფონდ ქართუს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები

1. საჩხერის ინფრასტრუქტურული პროექტები და სოციალური დახმარების პროგრამა

2. გასართობი პარკი "ციცინათელა"

3. დიდველის სამთო-სათხილამურო ცენტრის მოწყობა

4. ბათუმის დელფინარიუმი

5. საჩხერის სამხედრო სამთო მომზადების ცენტრი

6. საჩხერის დახურული საცურაო აუზი

7. საჩხერის რიტუალური სახლი

8. კახეთში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარება

9. მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოები და შეღავათიანი აგრო კრედიტის პროგრამა

10. 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის სამუშაოები

11. ინტერნეტიზაციის პროექტი

12. სავაჭრო პავილიონების მოწყობა რუისში

13. საბავშვო ბაღების დაფინანსების პროგრამა

სულ 347 მილიონ აშშ დოლარზე მეტი.

ისტორიული ძეგლების რეაბილიტაცია

1. დირბის სამონასტრო კომპლექსის აღდგენა-რესტავრაცია

2. ქ. თბილისში, ზემო ბეთლემის "მაცხოვრის შობის" სახელობის ეკლესიის გუმბათის გადახურვის და სამრეკლოს რესტავრაცია-რებილიტაცია

3. მუცოს ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის რეაბილიტაცია

4. ზესტაფონის რაიონის ტაბაკინის ეკლესიის რეაბილიტაცია

5. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფელ ტაბაკინის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის სამრეკლოს მცირე რეაბილიტაცია

6. სამთავისის ღვთაების მონასტრის მცირე ეკლესიის რეაბილიტაცია

7. ყინწვისის მონასტრის წმ. ღვთისმშობლის და წმ. ნიკოლოზის ეკლესიების მხატვრობა

8 ძველი შუამთის კომპლექსის რესტავრაცია

9. შიომღვიმის მონასტრის ჯვართამაღლების ეკლესიის რეაბილიტაცია

10. ყაზბეგის რაიონის სიონის ეკლესია და გერგეტის სამების ეკლესიის რეაბილიტაცია

11. ფარავნის ეკლესიის რესტავრაცია

12. მესტიის რაიონში ისტორიული კოშკების რესტავრაცია, სოფელ ჩაჟაშის რეაბილიტაცია

13. სოფ. ატენის სიონის ეკლესიის რესტავრაცია

14. ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის რეაბილიტაცია

15. ნოქალაქევის ორმოცმოწამეთას რეაბილი



დასასრული მე-10 გვ.

ფონდ „ქართუს“ ქველმოქმედების სია!

ტაცია

16. უბისას წმ. გიორგის ეკლესიის მხატვრობა

17. ატენის წმ. გიორგის ეკლესიის რესტავრაცია

18. ატენის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის რესტავრაცია

19. ფოკას ეკლესიის რეაბილიტაცია

20. მარტვილის ეკლესიის რესტავრაცია

21. მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემო ხუნწის “წმიდა თეოდორე ტირონის” სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია

22. მარტვილის მუნიციპალიტეტში ნოღას ციხის რეაბილიტაცია

23. კასპის მუნიციპალიტეტის ლომისის წმიდა გორგის ეკლესია

24. ნიქოზის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაცია

25. კაცხის სვეტის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაცია

26. მლეთის წმ. გიორგის ეკლესიის რესტავრაცია

27. ცაიშის ეკლესიის რეასტავრაცია

28. რკონის კომპლექსის კონსერვაცია

29. ახალი შუამთის მონასტრის სამრეკლოს რესტავრაცია

30. მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიის რესტავრაცია

31. დიდუბის ღვთისმშობლის სახ. ეკლესიის რეაბილიტაცია

32. თმოგვის წმინდა მარინეს ეკლესიის რესტავრაცია

33. დაბა წალკის წმ. გიორგის ეკლესიის რესტავრაცია

34. გარეჯის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაცია

35. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, დავით გარეჯის დოდოს რქის გუმბათიანი ეკლესიის დაზიანებული უბნის რეაბილიტაცია

36. ალავერდის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია

37. ალავერდის მონასტერში არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მონასტრის ჩრდილოეთ ნაწილში გალავნის კედლების კონსერვაცია და შერჩეული მონაკვეთის არქეოლოგიური კვლევა

38. ბოლნისის და კაზრეთის ეკლესიების რესტავრაცია

39. თბილისის მამა დავითის ეკლესიის რეაბილიტაცია

40. ნიკორწმინდის ტაძრის და სამრეკლოს რეაბილიტაცია

41. სამთავისის კომპლექსის რეაბილიტაცია (მოიცავს ამაღლების ტაძრის და ეკლესიის სამრეკლოს რებილიტაციას)

42. ანანურის ეკლესიის მხატვრობის რეაბილიტაცია

43. საფარის ეკლესიის მხატვრობის რეაბილიტაცია

44. გელათის სამონსტრო კომპლექსის რესტავრაცია

45. სვეტიცხოვლის გალავნის კოშკის რეაბილიტაცია

46. სვეტიცხოვლის ტაძრის შიდა და გარე ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები და განათების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია

47. მარტყოფის მამათა მონასტრის რეაბილიტაცია

48. საქართველოს მასშტაბით 13 ებრაული სინაგოგა

49. ქ.თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე, ნორაშენის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის რეაბილიტაცია

50. ბეთანიის ეკლესიის რეაბილიტაცია

51. ქ. ზუგდიდი, დადიანების სასახლეთა კომპლექსი, ნიკო დადიანის სასახლის რეაბილიტაცია

52. ახალქალაქში, სოფელ კუმურდოს ეკლესიის რესტავრაცია

53. ბახალციხის მუნიციპალიტეტის, აწყურის ღრმთისმშობლის ტაძრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია

54. აწყურის ციხის რეაბილიტაცია

55. გორის მუნიციპალიტეტის, ატენის ხეობის წეროსხევის სამონასტრო კომპლექსის “ღვთისმშობლის” სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია

56. კვიპროსის რესპუბლიკაში ალამინის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის არქეოლოგია, არქეოლოგიური სივრცის დამცავი პავილიონისა და დამცავი ჯებირის მოწყობის სამუშაოები

57. კვიპროსის რესპუბლიკაში ღალიის ღვთისმშობლის სახელობის სამონასტრო კომპლექსში წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის სარესტავრაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები

58. ზედაზენის სამონასტრო კომპლექსის “ნათლისმცემლის”' სახელობის ეკლესიის რეაბლიტაცია

59. ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის “წმიდა გიორგის” სახელობის ეკლესიის რესტავრაცია

60. სიღნაღის მუნიციაპალიტეტის სოფელ ბოდბისხევის ,,კვირიკეწმინდას'' სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია

61. თბილისის ანჩისხატის კომპლექსის კარიბჭე-სამრეკლოს რეაბილიტაცია

62. ქ. თბილისში, ანჩისხატის ეკლესიის კეთილმოწყობა და კარიბჭესამრეკლოს გვერდით მდებარე ტერიტორიაზე ხის ნაგებობის განთავსება

63. გურჯაანის მუნიციპალიტეტის, სოფელ ვაჩნაძიანის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია

64. სენაკის დრამატული თეატრის რეაბილიტაცია

65. გურჯაანის რაიონის სოფელ ვაჩნაძიანის მთავარანგელოზის და წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიების რეაბილიტაცია

66. გურჯაანის რაიონის სოფელ ვაჩნაძიანის დიდი ციხის რეაბილიტაცია

სულ 35 803 831 ლარი

ზემოთ წარმოდგენილი სიის ჯამური მოცულობა დაახლოებით 1,5 მილიარდ დოლარს შეადგენს. სია 2000-2022 წლებს მოიცავს. აქ არ შედის 2000 წლამდე პერიოდის ქველმოქმედება და ასევე 2023-24 წლები. ბევრი პროექტი დღესაც მიმდინარეობს. ბიძინა ივანიშვილი სახელმწიფოს 90-იანი წლებიდან ეხმარებოდა. *თანხები ჩემთვის უცნობია. ნანახი გექნებათ ასობით ტრაქტორის გადმოცემის ძველი კადრები.* ***ძალიან ბევრი პროექტი განხორციელდა და დაფინანსდა საქველმოქმედო ფონდ “ქართუს” გარეშე.*** *პირველ რიგში ეს ეხება სამთავრობო პროგრამების და რეფორმების დაფინანსებას 2004-2007 წლებში. მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს დაფინანსებამ 3 წლის მანძილზე 100 მლნ დოლარზე მეტი შეადგინა. ეს იმ წლებში კოლოსალური თანხა იყო. 2003 წელს თავდაცვის ბიუჯეტი სულ რაღაც რამდენიმე ათეულ მილიონ ლარს შეადგენდა. სახელფასო დანამატების და აღჭურვილობის გარდა, ამ თანხებით ახდენდა სამინიატრო ჯარისთვის საყაზარმო ფონდის შეკეთებას, აშენებდა სამხედრო ობიექტება, გორში აშენდა და აღიჭურვა ეროვნული თავდაცვის აკადემია, საარტილერიო ბრიგადის ქალაქი, ჰოსპიტალი და სხვა. ბიძინა ივანიშვილი აფინანსებდა ყველა მინისტრის, ანუ პოლიტიკოსების და სხვადასხვა რანგის ათასობით სახელმწიფო მოხელის ხელფასებს.*

კოლოსალური დახმარება გაუწია ივანიშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს. უბრალოდ წარმოიდგინეთ მთელი პატრულის ხელფასები რამდენიმე წლის განმავლობაში, მათი ფორმები, ეკიპირება, საპატრულო მანქანები და სხვა საჭირო ტექნიკა რა თანხებთან იქნებოდა დაკავშირებული?! ასე სატრაბახო პოლიციის პირველი შუშის შენობების მშენებლობებიც კი, ბიძინა ივანიშვილმა დააფინანსა. *ასე რომ, ყველაფერი, რითაც სააკაშვილი და მისი პარტია ტრაბახობს, ბიძინა ივანიშვილის ფინანსების გარეშე ვერ განხორციელდებოდა.*

სიაში არ შედის ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში ადრონული კოლაიდერის მშენებლობა, რომელიც, როგორც გაცხადებული იყო, მალე უნდა დასრულდეს და მისი მშენებლობა 40 მილიონი ევრო ჯდება. თვითონ უნივერსიტეტის დაფინანსების მთლიანი მოცულობა, როგორც გაცხადდა, მილიარდი ევროს ფარგლებშია. სიაში კი მხოლოდ პირველი ეტაპია მოცემული. *წინა ხელისუფლების დროს ასობით სკოლის რეაბილიტაცია, კომპიუტერებით და ავეჯით აღჭურვა სწორედ ივანიშვილის დაფინანსებით განხორციელდა. ადრე დავწერე და არც ეს ინფორმაციაა ორღობეში მონაყოლი. თანხა ორჯერ გამოუყო. ჯერ 80 მლნ დოლარი, რომელიც გაქრა ლომაიას მინისტრობის დროს და შემდეგ, ალბათ, იმდენივე. ეს თანხების ამ სიაში ასახული არაა.*

ამ სიაში არაა ანზორ ერქომაიშვილის თაოსნობით გამოცემული ეთნოგრაფიის, ისტორიის და კულტურის ენციკლოპედია. 100 მეცნიერისგან შემდგარ ჯგუფს ბიძინა ივანიშვილი 10 წლის მანძილზე, 2010-2020 წლებში აფინანსებდა. ამ სიაში არაა მითითებული ფიროსმანის ნახატები და ბევრი სხვა რამ, რაც ასევე აუქციონებზე გამოისყიდა სახელმწიფოს საჩუქრად გადასცა. *შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი ბიძინა ივანიშვილის ოჯახის საკუთრებაშია, მაგრამ საზოგადოებისთვის პარკში დასვენება უფასოა.*

ამ ჩამონათვალში არ შედის ასევე ჩემი შეფასებით ერთ-ერთი საშვილიშვილო ქველმოქმედება - ჯილაურას და წილკანის სანერგე მეურნეობები. აღნიშნულ მეურნეობებში თავი მოეყარა 437 ქართულ და 300-ზე მეტ უცხოური ჯიშის ვაზს, ასევე 300-ზე მეტი სახის ხეხილოვან კულტურას. თავდაპირველად “აგრო ქართუში” შემავალი სანერგე მეურნეობები იყო, რომლებიც ივანიშვილმა 2014 წელს გააერთიანა კვლევითი ინსტიტუტის სახით სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა. ასობით ვაზის ჯიში საქართველოსა და მთელ მსოფლიოში იქნა მოძიებული. ინსტიტუტში უამრავი მივიწყებული ქართული ჯიშის ვაზი საშვილთაშვილოდ იქნება შენახული. ერთმა ადამიანმა მეტი რა უნდა გააკეთოს?! *ისტორია, ეთნოგრაფია, ეკლესია-მონასტრები, განათლება თავისი სკოლებით და საბავშვო ბაღებით, კონსერვატორიით, სამხატვრო აკადემიით, საბავშვო და გასართობი ობიექტები, კულტურა თავისი მუზეუმებით, კინო-თეატრებით, ფილარმონიით, ოპერით, სამხატვრო აკადემიით, კონსერვატორიით, ისტორიული სასახლეებით, სპორტი, განსაკუთრებით რაგბი, ჯანდაცვა თავისი საავადმყოფოებით დანუ- ამრავი ადამიანის მკურნალობის დაფინანსებით, ტურისტული და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, ვაზი და დენდროლოგიური პარკები თუ ბიტანიკური ბაღები...*

ამ ყველაფერს არავის ამადლის, არავის აყვედრის. არც მადლობას ითხოვს. ამიტომ ვწერ მუდმივად, რომ როგორც პოლიტიკოსს ებრძოლეთ პოლიტიკური მეთოდებით და არა უცხო ქვეყნების სანქციებით. რატომ ვერ ერევით არჩევნებით, თქვენც იცით, თუმცა ცალკე კიდევ ერთხელ დავწერ.

დასაწყისი მე-8 გვ.

პრეზიდენტის შვილი გვახსენებს!

ГИОРГИ ГАМСАХУРДИА: ზვიადის ინტერვიუ მინდა შემოგთავაზოთ, რომელიც 1991 წელს მისცა „ამერიკის ხმას“. საკმაოდ დამაფიქრებელი და ღრმაა, როგორც იმ დროისთვის, ისე დღევანდელობისთვისაც. ჭეშმარიტი, ქართველი პოლიტიკოსის ხედვა და შინაარსია წარმოჩენილი. დასკვნები თქვენ თავად გააკეთეთ (საბჭოთა კავშირი,რაღაც დოზით კიდევ არსებობს მაგ დროისთვის).

ზვიად გამსახურდია:

ყველა ოცნება ადამიანის ცხოვრებაშივე უნდა ახდეს!

КОР: თქვენთვის ცნობილია,რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ აშშ-ში, მაგრამ მათ საკმარისი მხარდაჭერა ვერ მიიღეს. რას გვეტყვით ამ საკითხზე?

- სამწუხაროა, რომ აშშ-ს არ სურს სცნოს ბალტიისპირეთის, საქართველოს და სხვათა დამოუკიდებლობა. აშშ, გერმანია და სხვა დიდი ქვეყნები კვლავ იმედებს ამყარებენ სსრკ-ზე, გორბაჩოვზე, მაგრამ ეს ხელს ვერ შეუშლის ჩვენი ქვეყნების სწრაფვას თავისუფლებისკენ, ჩვენ დავასრულებთ სსრკ-ს არსებობას და მათაც მოუწევთ ამის აღიარება.

КОР: ბატონო პრეზიდენტო, რთული გზა აირჩიეთ.

-იოლად მოსაპოვებელი არასდროს არაფერი მიზიდავდა...

КОР: 70 წლის განმავლობაში კომუნისტური რეჟიმით ცხოვრობდა ქვეყანა. თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, მთელი შეგნებული ცხოვრება იბრძოდით ამ რეჟიმის წინააღმდეგ. რა შეგიძლიათ გვითხრათ „კომუნიზმის“ შესახებ, რა არის ეს „კომუნიზმი“, საერთოდ როგორ აღიქვამთ სიტყვა „კომუნიზმს“?

- როგორც ყოველგვარი სიცრუის და სიყალბის სიმბოლოს! რაც შეეხება თვითონ კომუნიზმის თეორიას, ეს არის უდიდესი საფრთხე კაცობრიობისთვის, მისი განვითარებისთვის. „კომუნიზმი“ ნიშნავს ყოველგვარი დემოკრატიულის, ყოველგვარი ეროვნული თვითგამორკვევის განადგურებას, იგი ანტიკულტურული და ანტიადამიანური, დემონური მოძღვრებაა.

КОР: ბატონო ზვიად, თანამედროვე ან წარსული დროის რომელი პოლიტიკოსი, ქართველი თუ სხვა ქვეყნის წარმომადგენელია თქვენთვის ყველაზე ახლო და მისაღები თავის მოღვაწეობით და სულიერი კულტურით?

-ჩემთვის ყველაზე ახლობელი პოლიტიკური მოღვაწე დღევანდელობაში არის პრეზიდენტი რეიგანი, რომლის უდიდესი თაყვანისმცემელიც ვარ და დავრჩები ასეთად მთელი ჩემი ცხოვრება. უდიდეს პატივს ვცემდი პრეზიდენტ დე გოლს, რომელიც აგრეთვე მიმაჩნია უდიდეს სახელმწიფო მოღვაწედ.

КОР: როგორია თქვენი ურთიერთობა ამერიკის კონგრესთან?

-ამერიკის კონგრესთან გვაქვს საუკეთესო ურთიერთობები. თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, თუმცა, ამაზე შეიძლება მე არ უნდა ვსაუბრობდე, მაგრამ საბჭოთა კავშირიდან არცერთ პიროვნებას არ ღირსებია ის, რომ მის საპატივცემულოდ ამერიკის კონგრესის კაპიტოლიუმის შენობაზე დროშა აღემართათ.

КОР: თქვენ პირველები იყავით საბჭოთა იმპერიაში, ვინც ჩაატარეთ მრავალპარტიული არჩევნები. თუ შეიძლება გვითხარით, კიდევ რაში უნდა იყოთ პირველნი?

-დემოკრატიაში, ადამიანის უფლებების პატივისცემაში... ამ ტოტალიტარულ იმპერიაში უნდა ვიყოთ დემოკრატიული კუნძული, რომელიც მთელ მსოფლიოს აჩვენებს, თუ რა შეუძლია მთელი ერის, მთელი მოსახლეობის გაერთიანებულ ბრძოლას და ძალისხმევას. ამას ჩვენ აუცილებლად გავაკეთებთ.

КОР: მაგრამ თქვენ გუნდში ბევრი მოღალატე აღმოჩნდა...

- დიდ საქმეს თან ახლავს ღალატი. ამაში სენსაციური არაფერია. ამ გზაზე ბევრს შევხვდი, ბევრჯერ მინახავს ადამიანური სისუსტეები, მაგრამ ერთი მარადიული თანამგზავრი არასდროს მტოვებდა. ეს იყო მერაბ კოსტავა.მის გარეშე, მე ვერაფერს შევძლებდი...

КОР: თქვენი პირადი მეგობარი, ჩეხეთ-სლოვაკეთის პრეზიდენტი, დიდი ხანი არ არის, რაც გახდა ადგილობრივი ტელევიზიის სადისკუსიო გადაცემის წამყვანი. თქვენ, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, პოეტს, მთარგმნელს და ბელესტრიტს, არ გსურთ გქონდეთ ასეთი მომიჯნავე პროფესია, პრეზიდენტობასთან ერთად?

-ჰაველისთვის ეს უფრო ადვილია. იმიტომ, რომ კრემლი იქიდან თავისით მიდის. იქ უკვე მშვიდობაა...

КОР: თქვენი პირადი თვისებებიდან რომელს გამოარჩევდით?

- ჯერ ვერავინ მოახერხა შეუცდომლად გაევლო ცხოვრების გზა.

საკუთარ თავზე საუბარი არ მახასიათებს, მაგრამ ის ნამდვილად ვიცი, რომ პირადი კეთილდღეობისთვის საქვეყნო საქმის ღალატი თავში არასდროს გამივლია.შეცდომები კი საკმარისზე მეტი დავუშვი.

КОР: თქვენს საჯარო გამოსვლებში ხშირად გაისმის ისეთი სიტყვები როგორიცაა- „მოღალატე", „აგენტი" და ა.შ... რა არის ესტრადიციული კავკასიური ემოციურობა, თუ რეალური პოლიტიკური პოზიცია საკუთარი ოპონენტების მიმართ?

- მე მიყვარს, როცა საგნებს თავიანთ სახელებს ვარქმევ. რას მიბრძანებთ, რა დავარქვა იმას, როცა მერკანტილური ინტერესი წინ ელობება ისტორიულ ამოცანას? მე შიშველი ხელით ვებრძვი იმპერიას, ჩემი იარაღი სიმართლეა!

КОР: გეგმავთ თუ არა შეხვედრებს მოსკოვში?

- ნებისმიერი შეხვედრა მისალმებით და კეთილი სურვილებით იწყება. მე არ გამაჩნია ეს სურვილები საბჭოთა კავშირთან. ვიდრე კრემლი საქართველოს დამოუკიდებლობას არ აღიარებს,მე იქ არაფერი მესაქმება.

КОР: გჯერათ, რომ ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანთ?

- მე მჯერა იდეის. თუ ადამიანი ფიქრობს, რომ ყველა ოცნება მისივე ცხოვრებაში უნდა ახდეს, ესე იგი, მხოლოდ პირადი ინტერესებისთვის უცხოვრია. ჩემი ოცნება დღეს ხალხმა გაიზიარა, ეს არის ყველაზე დიდი გამარჯვება!

„ამერიკის ხმა“
1991 წელი

საშა გველესიანი: ლექსი ადამიანია!

დინა მირცხულავა

პატარა რომ ვიყავი, მეგონა, პოეტები ღმერთების მსგავსად ერთ დიდ მთაზე ცხოვრობდნენ და მარტო სულები იყვნენ, უსხეულოები, ამიტომაც ბევრს დაფრინავდნენ, ბევრს ნახულობდნენ და ადვილად წერდნენ ლექსებს.

როცა მოვიზარდე და გავაცნობიერე, რომ ღმერთი ერთი იყო და არანაირი მთა არ არსებობდა ბევრი ღმერთის შესაკრებად, დავრწმუნდი, რომ როდესაც ღმერთს „ღმერთობა“ მობეზრდებოდა, განკაცდებოდა ხოლმე და დედამიწაზე პოეტის სხეულით ჩამოდიოდა...

აღარ ჩამოვთვლი იმ ბუმბერაზ პოეტებს, რომელთა სხეულიც შემოიცვა ღმერთმა...

არაფრის დამტკიცებას არ ვცდილობ ამ წინასიტყვაობით, მაგრამ მკითხველიც დამეთანხმება, რომ თუ სულში ღმერთი არ გიზის, შეუძლებელია, ისე წერო და ამოაგვირისტო სიტყვები, როგორც ***საშა გველესიანს*** *შეუძლია ეს...*

არ ვიქნები სუბიექტური, თუ ვიტყვი, რომ 21-ე საუკუნის უდიდესი პოეტია და ალბათ წლების მერე ძალიან ვიამაყებ, რომ ვიღაც დიდის თანამედროვე ვიყავი...

●

ქალაქის განაპირა უბანში საშა გველესიანი ქირით ცხოვრობს...

ცხოვრობს ჩვეულებრივი პოეტი კაცის ცხოვრებით. მისთვის არც სიხარულია უცხო და არც მწუხარება, ადამიანობაც ზოგჯერ უმარტივდება...

ამბობს, რომ სული მჩატეა, მაგრამ სატარებლად სხეულზე მეტადაც კი დამძიმებია...

ესეც ზოგჯერ....

ყოველდღიურობის საზრუნავი ანგრევს, ბოჭავს...

არ თვლის, რომ პოეტს უნდა შიოდეს, სწყუროდეს, რათა რაიმე ღირებული შექმნას.

დიდი პოეტიც, მსახიობიც და მოქანდაკეც მაშინ ხარ, როცა სიხარულშიც პოულობ იმას, რამაც ლექსი უნდა დაგაწერინოს, სცენაზე ბოლომდე დაგხარჯოს და ხელოვნების ნიმუშიც შეგაქმნევინოსო...

ადამიანები ყველაზე დიდი ღირებულებაა მისთვის ამ სამყაროში და ამავდროულად ყველაზე დიდი თავსატეხიც...

პოეტის მაგიდასთან ვსხდებით...

როგორც მივხვდი, თაბახის ფურცლებთან მეგობრობს, გაურკვეველი, გაკრული ხელით უწერია ზედ ორ-ორი სტრიქონი, თვალი გავაპარე, მაგრამ ვერაფერიც ვერ ამოვიკითხე და თავი მივანებე...

ვიწრო და პატარა ოთახი სავსე იყო საშათი...

- დაბადება...

- ზესტაფონში ვარ დაბადებული 1968 წლის 19 ივლისს, ნახევარი საუკუნის კი გავხდი უკვე... მგონი, ცხოვრების შემოდგომაა ხომ?! თუ ჯერ არა?! თუმცა, რაც არის, ვფიქრობ, სანამ ხარ, უნდა იყო, ამ სიტყვის სრული გაგებით, უნდა „ახურებდე“, ცუდად რომ ვთქვათ... აი, რომ გავიგო, უკურნებელი სენი მჭირს, არაფერს შევცვლიდი... ალბათ, იმავე ცხოვრებით გავაგრძელებდი, როგორც ახლა...

- ბავშვობა...

- ისევ ზესტაფონს უკავშირდება. მე ვთვლი, რომ ამ ქალაქის დამსახურებაა საშა გველესიანი. ეს არის ყველაზე სტუმართმოყვარე ადამიანების დასახლება. ყველაზე ალალი იუმორით სავსენი.

ბებია და ბაბუა მზრდიდნენ. მშობლები განქორწინებულები იყვნენ. მამაჩემმა მიერთგულა ბოლომდე. დედას სხვა ოჯახი ჰქონდა და აგერ შარშანწინ აღვადგინე ურთიერთობა.

- მერე...

- მერე არის საშა და თეატრი... თეატრი არის ადგილი, სადაც მე შინ ვარ, სადაც მე საშა ვარ და ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს, როცა თავს პოულობ... თეატრალური ცხოვრებაც ისევ ზესტაფონს უკავშირდება, ათი წელი ვიდექი სცენაზე ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის დრამატულ თეატრში, სადაც არაერთი როლი შევასრულე...

- რა ეძნელებოდა საშა გველესიანს სცენაზე...

- ძალიან ადვილია, სცენაზე იტირო, მაგრამ ძალიან რთულია, იცინო, მაშინ, როცა არ გეცინება და ეს სიცილი ყალბი არ იყოს... ადამიანები ყალბი სიცილისას უფრო ვიშიფრებით, ვიდრე ტირილისას... აბა, სცადე, როცა არ გეცინება, გულიანად გადაიხარხარე და აიყოლიე დარბაზიც... ვიცი, რასაც ვამბობ...

- სიყვარული... ოჯახი...

- სიყვარული მიზეზია, რომ იცხოვრო, არ უხდება მას ბევრი გაქექვა, მიზეზია და მორჩა... მეუღლე ლია შიუკაშვილია, არაჩვეულებრივი არტისტის ნუგზარ შიუკაშვილის ქალი... ორი შვილი მყავს, ქალ- ვაჟი...

- რატომ თბილისი ?!

- გალაკტიონი გამახსენე:

„დღეს თბილისი ფერში ნაირნაირშია,
თუ დრო არის,
დროს ისევ შენ შეჰფერი,
და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია,
მე თბილისი ავირჩიე ბებერი...“

არა, ამიტომ არა... ზესტაფონის კულტურის ცენტრში ვმუშაობდი და ამავდროულად ვიყავი რეჟისორი „თოჯინების ახალგაზრდულ თეატრში“... დიდი აურზაური მოხდა და მოჰყვა ამ ამბავს, დეტალებით არ შეგაწყენთ თავს... ჩემი იქ დარჩენა უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა ომარ გველესიანს. ადამიანი, რომელმაც დანგრეული კლუბი ჩაიბარა და კულტურულ ცენტრად აქცია... არ მიღირდა მისი წყენინება და წამოვედი...

- საშა გველესიანი და თბილისი...

- საშა გველესიანს ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავს თბილისში. თანაც აქ საქმე გამომიჩნდა, რომელიც მიყვარს.

ევროპის უნივერსიტეტს ჰყავს რექტორი - ხელოვნებისა და უშუალოდ თეატრის დიდი გულშემატკივარი და მოყვარული. ჩამოვაყალიბეთ უნივერსიტეტის თეატრი და მალე იქნება პრემიერა.

- კარგია, რომ...

- კარგია, რომ არსებობენ ადამიანები, არსებობს დედამიწა, არსებობს სიგარეტი და არსებობს სასმელი... კიდევ ბევრი რამეა კარგი...

- ლექსი...

- ლექსი არის ადამიანი, ყველაფერია, მიჭირს ახსნა... რაც გჭირს და გიხარია ყოველდღე, ის არაა... ლექსისათვის, იცი, რა ბრძოლა მჭირდება?! სადღაც უნდა ჩახვიდე, შორს, ღრმად, საკუთარ ტყავში შეძვრე და ლექსი დაბადო... ლექსი დაწერილი ადამიანია, ოღონდ ნამდვილი ადამიანი...

- ლექსი და თეატრი...

- მოკლედ ვიტყვი - ორივე მეტაფორაა...

- როდის გახდა საშა მელექსე...

- ძალიან ადრე, სადღაც მეოთხე თუ მეხუთე კლასში. ნიკო ლორთქიფანიძის „გული“ წავიკითხე და მაშინ დაიბადა პირველი ლექსი.

საერთოდ, ჩემზე არც ერთი პოეტი არ მოქმედებს, არავის გავლენას არ ვგრძნობ...

ყველა ადამიანის და პოეტის ტკივილი ინდივიდუალურია და შესაბამისად, მისი გადმოცემაც...

- საშა და ლექსი...

- საშა როგორ წერს ლექსს?! ლექსს რამდენიმე ღამე უნდა გაათევინო. დავწერ და ვდებ...

სამი, ოთხი დღის მერე ვუბრუნდები ან უფრო მეტის და მერე ვუკეთებ რედაქტირებას... ლექსის წერისას არ ვწვალობ, მაგრამ დაწერილს ვასვენებ...

- კონკურსები...

- მკაცრად არ ვეკარები და ეგაა...

- საშას პოეტები...

- მიჭირს გამოყოფა, ცუდი კითხვაა... ვასიკო ბესელია, ბათუ დანელია, ვახტანგ ღლონტი... ბევრნი არიან, მოკლედ... ახლა ესენი გამახსენდა...

გარდაცვლილებში, ალბათ, გალაკტიონი უნდა მეთქვა, ის უდავოდ დიდი იყო, მაგრამ ჩემი პოეტი მაინც ნიკო სამადაშვილია.

- რა სტკივა დღეს ლექსს...

- დღეს ლექსს მკითხველი არ ჰყავს, გემოვნებიანი მკითხველი...

და ამაზე მეტი სატკივარი რა გინდათ?!

- ერთი სიცოცხლე გეყოფა?!

- არა, არ მეყოფა!!!

მე ეს ქალაქი მიყვარდა ადრე!

მარიამს...

ფოთლების შუქი, თბილი და ხმელი,
ტკივილიც, უნდა, ზოგჯერ იამო,
მოდი, მაჯაზე დამადე ხელი,
მე ვბერდები და თოვს, მარიამო.

მორცხვად ქრებიან ძველი დარები,
ჩვენც, სხვა ქალაქში ვიყავით მაშინ,
გესმის ზარები? – ჯართს იბარებენ
და ვერცხლის ხმაა ფიფქების ხმაში...
ერთნახევარი პალატი, ბნელი,
გიორგობისთვის ნელი ღალატი
და დეკემბერი, დალმატინელი,
შავ-თეთრ ხალებით, ძალის-ძალათი,
ლამის მარტამდე გამომეტიროს,
მოთოვს? - ითოვოს, ოღონდ - არტიოს,
კარს ღიას ვტოვებ, მოვა ღმერთი, რომ,
თავის მოკვლაც კი, არ მაპატიოს,
და სიკვდილშიც ვარ ერთხელ ნამყოფი,
ვცნობ ხვალეს, მერეს, უფრო მერესაც,
ტკივილს ვერ გიყოფ, თავად არ მყოფნის
და მკრთალი რწმენაც გამიერესა...

ასე, აწყვეტილ, გიჟი ქარის მშურს,
გზაა დარდების მიმთრევ - მომთრევი,
უსმენ მშიშარა ღამის შარიშურს..?
- დედას ეძებენ მთაში ფოთრები...
დამკარგა შემხმარ თვეთა ფარდაგმა,
ყვითლად ნაქსოვმა ხმელმა სიცრუემ,
ზამთრისკენ, ჩემი ზამთრის გადაღმაც,
ყველა ბილიკი მაინც ვიწროა...

ისევ ჩემში ხარ, ისევ და თუმცა,
არ გახსოვს მღვიძარს ჩემი ამბორი,
ვიხსნი სიმშვიდეს, ვიხსნი და თუ ცას
ვიწვეთებთ თვალში, წვიმით დატბორილ
გზით რომ ვიაროთ, არა - ასმოდეს,
არამედ ღმერთი – ყინვისგან დაცლა,
რომ შენი მოსვლა უნდა მახსოვდეს
და უნდა ჩემი გახსოვდეს წასვლა...

ერთი ტკივილიც ჩუმად ვიამოთ
და მაპატიე ხმელი ფოთლები,
გული კი არა, თოვს, მარიამო,
დედას ეძებენ მთაში ფოთრები...
დილა ჰგავს გონჯი ზამთრის მარებელს
და ეყინება ქალაქს ფერდები,
გესმის ზარები? - ჯართს იბარებენ,
დეკემბერია და მეც ვბერდები...

მე ეს ქალაქი მიყვარდა ადრე...

ბრიტანული გაზეთი „ფაინენშელ თაიმსი“ (Financial Times) ეხმაურება ვაშინგტონში 30 იანვარს მომხდარ ავიაკატასტროფას და აქვეყნებს სტატიას სათაურით „დონალდ ტრამპი ავიაკატასტროფაში, რომელმაც მრავალრიცხოვანი მსხვერპლი გამოიწვია, დემოკრატებს ადანაშაულებს“ (ავტორები – სტეფ ჩავესი და ფელიცია შვარცი), რომელშიც გადმოცემულია როგორც აშშ-ის პრეზიდენტის პოზიცია მომხდარი ტრაგიკული ფაქტის მიმართ, აგრეთვე განხილულია კატასტროფასთან დაკავშირებული რიგი გარემოებები.

გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:

FT FINANCIAL TIMES

ტრამპი ავიაკატასტროფაში დემოკრატებს ადანაშაულებს

დონალდ ტრამპმა ავიაკომპანია **American Airlines**-ის სამგზავრო რეაქტიული თვითმფრინავისა და სამხედრო ვერტმფრენის შეჯახებაში, რომლის შედეგად 67 ადამიანი დაიღუპა (ბორტებზე მყოფი ყველა მგზავრი და ეკიპაჟის წევრები), დემოკრატიული პარტია და მის მიერ გატარებული მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზივობის (**Diversity, equity, and inclusion - DEI**) პოლიტიკა დაადანაშაულა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ისე, რომ, რაიმე მტკიცებულებები არ დაუსახელებია, განაცხადა, რომ მისი აზრით, 30 იანვრის გვიან საღამოს მომხდარი ავიაკატასტროფა გამოწვეულია უსაფრთხოების სუსტი სტანდარტებით, რომელიც წინა ხელისუფლების – დემოკრატების – მიერ ხორციელდებოდა **DEI**-ის ჩარჩოებში.

ამასთან, როგორც ავიაკატასტროფის მიზეზების გამომკვლევმა ფედერალურმა გამომძიებლებმა განაცხადეს, ჯერ კიდევ ძალიან ადრეა იმ მიზეზების დასახელება, რომლებმაც ორი საფრენი აპარატის ერთმანეთთან შეჯახება გამოიწვია.

„არცერთი ადამიანი არ გადარჩენილა“, – აღნიშნა დონალდ ტრამპმა ხუთშაბათს, როცა იგი, მეორე ვადით პრეზიდენტობის დროს, პირველად ავიდა თეთრი სახლის ბრიფინგების დარბაზში არსებულ ტრიბუნაზე.

ავიაკომპანია **American Airlines**-ის სამგზავრო თვითმფრინავი **Bombardier CRJ**700 კანზასის შტატის ქალაქ უიჩიტოდან ვაშინგტონში რეგიონული რეისს ასრულებდა და რონალდ რეიგანის სახელობის ეროვნულ აეროპორტში ეშვებოდა, როცა ის სამხედრო ვერტმფრენს **Sikorsky H-60 Black Hawk**-ს შეეჯახა, აფეთქდა და ნამსხვრევები მდინარე პოტომაკში ჩაცვივდა.

მაშველებმა პოტომაკის ფსკერზე, ყინულებიან წყალში თვითმფრინავის ფიუზელაჟის სამი ნაწილი აღმოაჩინეს. იქვე იყო ვერტმფრენის დამსხვრეული კორპუსიც. **Bombardier CRJ**700-ის ბორტზე 60 მგზავრი და ეკიპაჟის ოთხი წევრი იმყოფებოდა, ხოლო **Black Hawk**-ის ბორტზე – სამი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე.

აშშ-ის სატრანსპორტო უსაფრთხოების ეროვნული სააგენტოს განცხადებით, ავიაკატასტროფის წინასწარი ანგარიში 30 დღის განმავლობაში მომზადდება.

ხუთშაბათს, გვიან ღამით ცნობილი გახდა, რომ სამაშველო სამსახურმა თვითმფრინავის ბორტზე არსებული „შავი ყუთები“ იპოვა და წყლიდან ამოიღო.

როცა სატრანსპორტო უსაფრთხოების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს ჯენიფერ ხმენდის ჟურნალისტებმა კითხვა დაუსვეს დონალდ ტრამპის ეჭვების თაობაზე, მან ასე განაცხადა: „ჩვენ ჯერ არ ვფლობთ საკმარისი რაოდენობის ფაქტებს, რომ მტკიცედ ვთქვათ, რა არის კატასტროფის გამომწვევი მიზეზი – ადამიანის ფაქტორი თუ საფრენი აპარატების ტექნიკური მდგომარეობა“.

დონალდ ტრამპმა, რომელსაც გვერდით ედგნენ ვიცე-პრეზიდენტი და ახლახან თანამდებობებზე დანიშნული თავდაცვისა და ტრანსპორტის მინისტრები (იმის მიხედვით, რომ სამგზავრო თვითმფრინავი სამოქალაქო ტრანსპორტს მიეკუთვნება, ხოლო ვერტმფრენი – სამხედროს ანუ პენტაგონს), ბრიფინგი იმით დაიწყო, რომ ამერიკელებს მოუწოდა საერთო უბედურების გაზიარებისაკენ დაღუპული ადამიანების მიმართ: „ჩვენთვის ყოველი ამერიკელის სიცოცხლე ძვირფასია, ისინი ერთმანეთისაგან არაფრით არ განსხვავდებიან“.

შემდეგ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი სწრაფად გადავიდა პოლიტიკურ შეტევაზე დემოკრატების წინააღმდეგ და ხაზი გაუსვა, რომ მისი წინამორბედი დემოკრატი პრეზიდენტები ბარაკ ობამამ და ჯო ბაიდენმა პროფესიული მოთხოვნები შეუმცირეს იმ ადამიანებს, რომლებიც ავიადისპეტჩერების თანამდებობებზე ინიშნებოდნენ.

„ჩემთვის ადამიანთა უსაფრთხოება პირველ ადგილზეა, ბარაკ ობამა და ჯო ბაიდენი კი პრიორიტეტს პოლიტიკას ანიჭებდნენ... პოლიტიკას, რომელსაც ისინი ძალიან ცუდად და უარესად ახორციელებდნენ“, – აღნიშნა დონალდ ტრამპმა.

„ავიადისპეტჩერების თანამდებობებზე ჩვენ გვჭირდება ყველაზე მოხერხებული, მცოდნე, გონიერი და რთულ სიტუაციებში სწრაფად მოქმედი სპეციალისტები. ჩვენ გვჭირდება ისეთი ადამიანები, რომლებიც ფსიქოლოგიური უპირატესობით გამოირჩევიან“, – განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა: „არ ვფიქრობ, რომ სერიოზული დარღვევების მქონე ადამიანები ავიადისპეტჩერები უნდა იყვნენ“.

მას შემდეგ, როცა დონალდ ტრამპმა ავარიაში ავიადისპეტჩერები დაადანაშაულა, იგი სამხედრო ვერტმფრენის ეკიპაჟზე გადაერთო: „მათ პრობლემები ჰქონდათ ვერტმფრენის პილოტირებასთან დაკავშირებით, რაც ვიზუალურადაც ჩანდა. აბა, წარმოიდგინეთ: უღრუბლო ცა, **American Airlines**-ის თვითმფრინავს საბორტო განათება ჰქონდა ჩართული, (სამხედროები კი ისე მიფრინავენ, თითქოს ვერაფერს ხედავენ). ვერტმფრენებით ვსარგებლობ და ვიცი, რომ მათი გაჩერება ძალიან სწრაფად შეიძლება. სამხედრო ვერტმფრენს შეეძლო უცებ ან უფრო მაღლა აფრენილიყო, ან უფრო დაბლა დაშვებულიყო, შეეძლო სწრაფად გადაეხვია კურსიდან... მაგრამ ის მოქმედება, რაც მათ ჩაიდინეს, არასწორი იყო“.

თავის მხრივ, როგორც თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, სამხედრო ვერტმფრენს გამოცდილი ეკიპაჟი მართავდა, ფრენა ჩვეულებრივი რეჟიმით, გეგმური სწავლების ჩარჩოებში მიმდინარეობდა.

დონალდ ტრამპის თქმით, ამჟამად გამომძიებლები ცდილობენ იმის გარკვევას, იყენებდნენ თუ არა სამხედრო მფრინავები ღამის ხედვის ხელსაწყოებს, რომლებსაც პილოტების კაბინიდან გარე სივრცის აღქმის შეცვლა შეუძლიათ. პენტაგონის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამხედრო-საჰაერო ძალებს ჯერ-ჯერობით არ შეუძლიათ იმის ზუსტი თქმა, ეკეთათ თუ არა **Black Hawk**-ის ეკიპაჟს ღამის ხედვის „სათვალეები“.

თავდაცვის მინისტრმა პიტ ჰეგსეთმა განაცხადა, რომ ვერტმფრენის ბორტზე მყოფი სამი სამხედრო მოსამსახურე ჩვეულებრივ ტრენინგს გადიოდა ღამის ფრენის რეჟიმის მიხედვით და სტანდარტული მარშრუტით, რომელიც სამთავრობო მისიების დროს სრულდება [რ.რეიგანის სახელობის აეროპორტი თეთრ სახლთან შედარებით ახლოს მდებარეობს]. ეკიპაჟის წევრები იყვნენ ახალგაზრდა პილოტი – უფროსი სერჟანტი და ორი ოფიცერი.

„სამწუხაროდ, ღამით ფრენისას ეკიპაჟმა შეცდომა დაუშვა... როგორც ჩანს, მათ რაღაც პრობლემა გაუჩნდათ... ჩვენ ამ საქმის გამოძიება დაუყონებლივ დავიწყეთ თავდაცვის სამინისტროსა და არმიის დონეზე“, – აღნიშნა მინისტრმა და ხაზი გაუსვა: „მომხდარი ტრაგიკული ფაქტი ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია“.

დონალდ ტრამპმა აღნიშნა, რომ **Bombardier CRJ**700-ის მგზავრებს შორის, ამერიკელებთან ერთად, იყვნენ რუსეთის მოქალაქეებიც (ფიგურულად მოციგურავეები, რომლებიც უიჩიტოში გამართულ აშშ-ის ჩემპიონატში მონაწილეობდნენ), რომელთა ცხედრების რეპატრიაციას აშშ-ის მთავრობა ხელს შეუწყობს. როგორც ცნობილია, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების გამო აშშ-მა რუსეთთან პირდაპირი საავიაციო მიმოსვლა აკრძალა.

აშშ-ში სერიოზული საავიაციო ინციდენტები შედარებით იშვიათად ხდება ხოლმე. ამერიკული კომერციული სამგზავრო თვითმფრინავის უკანასკნელი მსხვილი ავიაკატასტროფა დაახლოებით 15 წლის წინ, 2009 წელს მოხდა, როცა ავიაკომპანია **Colgan Air**-ის თვითმფრინავის იძულებითი დაშვების დროს (ბუფალოსთან ახლოს) 49 მგზავრი დაიღუპა.

წყარო: https://www.ft.com/content/81aa4527-743f-4c1d-a207-624ef3a143a0

მოამზადა სიმონ კილაძემ

როდის დასრულდება ომი უკრაინაში?

როდის დასრულდება რუსეთ-უკრაინის ომი? – საორიენტაციო ვადად ამერიკის პრეზიდენტი 100 დღეს ასახელებს. დონალდ ტრამპმა ევროპის კონტინენტზე მიმდინარე ომზე ჟურნალისტებთან კიდევ ერთხელ ისაუბრა. თქვა, რომ რუსეთთან აქტიური დისკუსიაა, თუმცა არ დაუკონკრეტებია, იყო თუ არა პირდაპირი კომუნიკაცია ვლადიმერ პუტინთან.

„ვფიქრობ, ჩვენ შევძლებთ ისეთი რამის გაკეთებას, რაც ცვლილებებს გამოიწვევს, გვინდა ამ ომის დასრულება, მე რომ ვყოფილიყავი პრეზიდენტი, ეს ომი არც დაიწყებოდა. ეს არის საშინელი ომი, მილიონობით ახალგაზრდა იღუპება, განადგურებული ქალაქები ნანგრევებს დაემსგავსა, ეს უბრალოდ უაზრო ვითარებაა, რომელიც უნდა შეჩერდეს. ჩვენ გვაქვს დისკუსიები რუსეთთან, არ მინდა ამ საკითხზე კონკრეტულად საუბარი, მაგრამ დისკუსია ძალიან სერიოზულია, ვცდილობთ ომის შეჩერებას,“ – აცხადებს დონალდ ტრამპი.

ევროკავშირი ამერიკას მოექცა ძალიან ცუდად და... ჩვენ რას გვიზამს!

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ევროკავშირს ტარიფებს დაუწესებს. ინფორმაციას ამის შესახებ CNN Portugal-ი ავრცელებს.

„დავუწესებ თუ არა ტარიფებს ევროკავშირს? გინდათ გულწრფელი პასუხი, თუ პოლიტიკური? აბსოლუტურად. ევროკავშირი ჩვენ ძალიან ცუდად მოგვექცა“, – განაცხადა ტრამპმა.



„აუცილებლად დავუწესებ ტარიფებს ევროკავშირს. არ ვღელავ ბაზრის რეაქციებზე. ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან ნაბიჯს გადავდგამთ ევროკავშირთან დაკავშირებით“, – აღნიშნა ტრამპმა, თუმცა არ დაუზუსტებია, როდის შეიძლება განხორციელდეს ეს გადაწყვეტილება.

ტრამპმა გუანტანამოს ყურეში 30,000 არალეგალი „განგსტერი“ ემიგრანტის განსახლების გეგმა გამოაქვეყნა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გუანტანამოს ყურეში 30,000 არალეგალური ემიგრანტის განსახლების გეგმა გამოაქვეყნა. ინფორმაციას Daily Mail-ი ავრცელებს.

აშშ-ის სამხედრო ბაზა, რომელიც კუბაში მდებარეობს, ისტორიულად გამოიყენებოდა ტერორიზმში ეჭვმიტანილების დასაკავებლად, 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმის შემდეგ.

გუანტანამოს მიგრანტებისთვის გამოყენება, ტრამპის მიერ გადადგმული სიმბოლური ნაბიჯია არალეგალური იმიგრაციის შეჩერების უპრეცედენტო ოპერაციაში, რომელიც დაიწყო მას შემდეგ, რაც თანამდებობა დაიკავა.

საიმიგრაციო და საბაჟო აღსრულება ახორციელებდა რეიდებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხოლო სადეპორტაციო ფრენები ყოველდღიურად ხორციელდება შტატებიდან – პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ამ ფაქტის ამსახველი ფოტომასალაც გაავრცელა.

ტრამპმა თქვა, რომ 30,000-საწოლიანი დაწესებულება გამოყენებული იქნება „ყველაზე ცუდი“ მიგრანტების ჩასაკეტად და აღნიშნა, თუ რამდენად „ძნელი“ იქნება გაქცევა.

პროგრამა მოიცავს ეჭვმიტანილების დაკავებას იმ ქვეყნებიდან, რომლებსაც პრეზიდენტი არ ენდობა და დააკავებს მათ დეპორტაციის შემდეგ.

შიდა უსაფრთხოების მდივანმა კრისტი ნოემმა გეგმა ოთხშაბათს გამოაქვეყნა, თუმცა ტრამპი ახლა გადავიდა იდეის რეალიზაციაზე.



თეთრი ზღაპრიდან — ესტონურ ყინულზე

ქვეყანას რომ პოზა წაქაძე ჰყავს და მსოფლიო მასშტაბის სამთო კურორტები ამშვენებს, სპორტის ზამთრის სახეობებში მის წარმომადგენელთა მიერ მიღწეული წარმატებები, წესით, არ უნდა ენატრებოდეს, მაგრამ...

მიზეზთა გამო აღნიშნულ პრიორიტეტულ მიმართულებაში გაჩენილ ვაკუუმს ბოლო წლებში თანდათან ესმება წერტილი, რასაც საქართველოსთვის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის სამასპინძლოდ ნდობის გამოცხადება მოწმობს (9-16 თებერვალი. ბაკურიანი, თბილისი, ბათუმი).

სიმბოლურია, რომ პრესტიჟული ფორუმის ერთ-ერთი ახალი ობიექტის – ბიატლონის ტრასის გახსნას ჯვაროსან ფიგურისტთა შთამბეჭდავი შედეგები დაემთხვა. საუბარია ტალინში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ჩვენი დელეგაცია ერთ-ერთ ლიდერად წარმოჩინდა.

განსაკუთრებით იყოჩაღა **ანასტასია მეტელკინა – ლაშა გერულავას** წყვილმა, რომელმაც მოკლე პროგრამაში დაკავებული შეუფერებელი მე-9 ადგილის შემდეგ სასწაული მოახდინა, ფილიგრანულად ისრიალა თავისუფალ პროგრამაში და ოქროს ტოლფასი ბრინჯაო მოიხვეჭა!

ასეთი ომახიანი სტარტის შემდეგ სრული საფუძველი გვქონდა მორიგი ტიტული 2023 წლის გვირგვინოსან და შარშანდელ ვიცე-ჩემპიონ **ანასტასია გუბანოვასათვის** მიგვეღოცა, რომელიც დასკვნით აკორდს პირველი პოზიციით შეხვდა. მართალია, მას უხეში შეცდომა არ დაუშვია, მაგრამ მსაჯებმა ამჯერად უპირატესობა მასპინძელს მიანიჭეს, ჩვენი ეროვნული ნაკრების ყულაბა კი ვერცხლით შეივსო.

და მაინც, ხომ იცით, იმედი რომ სულ ბოლოს კვდება. ჰოდა, ასე იყო ჩვენი საქმეც, რადგან **ნიკა ეგაძემ** მოკლე პროგრამაში მე-2 ადგილი დაიკავა და უმაღლესი სინჯის მედლის მოპოვების სავსებით რეალურ შანსს ინარჩუნებდა.

სამწუხაროდ, **ლალი ჩოფიკაშვილის** ბათუმელმა შეგირდმა, რომელსაც ამჟამად **ეთერ თუთბერიძე** ავარჯიშებს, თავისუფალი პროგრამის შესრულება უხეში შეცდომით დაიწყო, შემდგომშიც ვერ აირიდა ხარვეზები და მეოთხე ადგილის დაკავებით საბოლოოდ უმედლოდ დარჩა.

ტაბლის ნუ გადანვავთ!

გორჯღალოსნები რაგბი ევროპისა და სხვა წვრილ-წვრილი ტურნირებისთვის გადაზრდილები არიან და უკვე ელიტურ 6 ერში თამაშს იმსახურებენო – რამდენი ხანია გვესმის როგორც შინაურ, ისე გარე მოკეთეგან, მაგრამ...

აბა, როგორღა უნდა განვითარდე უფრო, როცა მეტოქეს, კონკრეტულად – შვეიცარიას, 16(!) ლელოს დაუდებ, 110:0 გაანადგურებ და, მოტივაციას ვინღა ჩივის, თავმოყვარეობასაც კარგა გვარიანად შეულახავ?!

შეიძლება ვინმემ იუკადრისოს მსგავსი შეფასება და შეგვახსენოს – ოდესღაც ხომ ჩვენც დაახლოებით ასევე გვისწორდებოდნენ გრანდებიო, მაგრამ მათ ვუპასუხებთ: მათი გაკვეთილების შესწავლას ათწლეულები დასჭირდა და უკვე რამდენიმე ბობოლა დავამარცხეთ კიდეც.

როგორ მოვიქცეთ ახლა – ველოდოთ, როდის მომძლავრდებიან მაჩანჩალები?

35 ქულის მადლი

ორიოდე კვირა დარჩა საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების გადამწყვეტ შესარჩევ შეხვედრებამდე, რომლებმაც ევრობასკეტზე მათი ზედიზედ მე-6 გასვლის საკითხს უნდა მოფინოს ნათელი.

სწორედ აღნიშნულ პრიზმაში განვიხილავთ ჯვაროსან ლეგიონერთა საერთაშორისო საკლუბო კარიერაში განვითარებულ მოვლენებს და უნდა ითქვას, რომ ავადმყოფობის შემდეგ **ალექსანდრ პიკიჩის** გაწვრთნილი გუნდის კაპიტნის **თორნიკე შენგელიას** მიერ დროის მოკლე მონაკვეთში აკრეფილი ოპტიმალური კონდიციები განსაკუთრებით გვახარებს.

ამჯერად ვირტუსის ლიდერმა სტამბოლში გაიბრწყინა, სადაც ბოლონიელები მართალია 81:95 დამარცხდნენ, მაგრამ ევროლიგის ერთ-ერთ ლიდერ ფენერბახჩესთან შენგელიამ სარეკორდო 35(!) ქულა, 5 მოხსნა და 3 პასი 30 წუთში მოაგროვა.

ქართული კანკანი

ქართველ ლეგიონერთა შაბათის ფრანგული უქმეები ზურიკო დავითაშვილის შესანიშნავმა თამაშმა და ლიგა 1-ში ამ სეზონში მისმა გატანილმა მე-7 გოლმა დაამშვენა. მართალია, ეს პენალტით გააკეთა, მაგრამ მანამდე ბურთი მცველს აართვა და საჯარიმოში შეჭრილმა მეტოქეს წესი დაარღვევინა.

სხვათა შორის, ჯვაროსანს დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ლილის მეკარესთან პირისპირ გასულმა შანსი ვერ გამოიყენა. ისიც სათქმელია, რომ ამ დროს სტუმრებს მცველი უკვე გაძევებული ჰყავდათ, რაც საბოლოოდ გადამწყვეტი აღმოჩნდა – 4:1.

იმავე საღამოს პარი სენ-ჟერმენმა ბრესტში 5:2 მოუგო ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში თავის მომავალ მეტოქეს, გენერალური რეპეტიციის გმირები კი დემბელე (ზედიზედ მე-2 ჰეთ-თრიქი) და რამუში (დუბლი) გახდნენ.

მართალია, კვლავ გადაიდო **ხვიჩა კვარაცხელიას** პირველი გატანილი ბურთი, მაგრამ მეორე საგოლე კომბინაციაში მან უშუალო მონაწილეობა მიიღო. მთლიანობაში **ლუის ენრიკე** დედაქალაქური გრანდის ახალწვეულს ნაირ-ნაირ პოზიციებზე ცდის და, დემბელესა და ბარკოლას მსგავსად, მალევე შეცვალა. ვერც გაამტყუნებ – სატურნირო ცხრილის უკონკურენტო ლიდერის ვარსკვლავთა კოჭებს უფრთხილდება.

ბრინჯაოც მედალია!

ტატამის სამყაროში ყველაზე პრესტიჟულად ძიუდოს სამშობლოში ტრადიციად ქცეული მისი ფუძემდებლის – ძიგარო პანოს სახელობის საერთაშორისო ტურნირი ითვლება, ევროპაში კი მსგავსი დატვირთვით პარიზის გრანდ სლემი გამოირჩევა, სადაც უამრავ ქართველ დიდოსტატს აქვს მოპოვებული ჯილდოები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გამონაკლისს არც წლევანდელი ფრანგული ზამთარი წარმოადგენს, რადგან პირველივე დღეს საპატიო კვარცხლბეკის მე-3 საფეხურზე ტოკიოს ოლიმპიადის ფინალისტმა და ევროპის 3-გზის ჩემპიონმა **ვაჟა მარგველაშვილმა** შეაგიჯა (66 კგ).

აღსანიშნავია, რომ ბრინჯაოს მედლის მოპოვების შანსი **ეთერ ლიპარტელიანისა** და **თემურ ნოზაძის** ოჯახურ წყვილსაც ჰქონდა, მაგრამ მცირე ფინალური ბრძოლები ორივემ დათმო.

ჩვენ თვითონ

ასეთი დარტყმა ფსიქოლოგიურად ბევრს გატეხავდა, მაგრამ როცა პროფესიონალიზმი და მოწოდებად ქცეული საქმის სიყვარული გამოგარჩევს, უკანდახევა რა მოსატანია!

ავთანდილ ასათიანის გაწვრთნილ საქართველოს ფუტსალის ეროვნულ ნაკრებზე მოგახსენებთ, რომელსაც, მართალია, დისკვალიფიკაციის გამო მთელი რიგი ნატურალიზებული ბრაზილიელები გამოაკლდა, მაგრამ ვინც დარჩა, კიდევ უფრო შეიკრა ერთ მუშტად და წარმატებით თამაშს განაგრძობს.

რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტს, ამჯერად ჯვაროსანთა მორიგი მსხვერპლი ევროპის ჩემპიონატის მეინ-რაუნდში ბულგარეთი აღმოჩნდა, რომელიც თბილისში 6:1 დავჩაგრეთ და ფრანგების შემდეგ 6 ქულით ჯგუფში მე-2 ადგილზე ვართ, ხვალ კი იმავე მეტოქეს სტუმრად ვხვდებით.

თბილისში საგამოძიებო მოქმედებები დაიწყო

სამოქალაქო აქტივისტების სახლებში პოლიცია ჩხრეკას ატარებს. ამის შესახებ ისინი სოციალურ ქსელში თავად წერენ. ჩხრეკას ერთ-ერთი მათგანის სახლში ადვოკატიც ესწრება.

მსს ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტში, ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ჯგუფური მოქმედების ორგანიზების ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით და 226-ე მუხლით დაწყებული გამოძიების ფარგლებში, სამართალდამცველები თბილისის მასშტაბით, სხვადასხვა ლოკაციაზე ატარებენ საგამოძიებო მოქმედებებს, მათ შორის საგამოძიებო ღონისძიებების ფარგლებში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ხორციელდება საქმესთან შემხებლობაში მყოფი პირების პირადი და სახლების ჩხრეკა.

„მოკალი ქოცი“! — წარწერებთან დაკავშირებით შსს-ში გამოძიება მიმდინარეობს

„მოკალი ქოცი“! – წარწერებთან დაკავშირებით, რომლებიც რამდენიმე დღის წინ თბილისში გამოჩნდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

გავრცელებული ინფორმაციით, მეტროსადგურებსა და რამდენიმე ადგილზე გამოჩნდა მუქარის შემცველი შინაარსის წარწერები.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში „კვირას“ განუცხადეს, ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტზე უწყებამ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო.

მკვლელობა ლილოს დასახლებაში

თბილისში, ლილოს დასახლებაში, მკვლელობა მოხდა.

არსებული ინფორმაციით, რესტორან „კახელებთან“ მამაკაცს ავტომობილში ესროლეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

„სადახლოზე“ დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები გამოავლინეს

საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო“, დიდი ოდენობით ოქროს ნაკეთობების კანონდარღვევით შემოტანის 2 ფაქტი აღიკვეთა, – ამის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების როგორც ფიზიკური, ასევე მათი მართვის ქვეშ არსებული ავტომობილების, დეტალური დათვალიერების შედეგად არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები (საერთო წონა: 1005,88 გრამი) გამოავლინეს. სამართალდამრღვევ მოქალაქეებს აღნიშნული ოქროს ნაკეთობები მალულად ჰქონდათ განთავსებული.



საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 127 597,49 ლარი შეადგინა.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

ნამახვანჰესი ქართველმა ხალხმა უნდა ააშენოს!

მეშვიდე გვერდიდან

ჩვენმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა წარადგინოს გაეროში წლიურად 261440 ტ დიზელის საწვავის ეკონომია და მოითხოვოს შესაბამისი დაფინანსება.

როგორც ცნობილია, საქართველო არის გაეროს წევრი ქვეყანა და მას ჰყავს თავისი წარმომადგენელი გაეროში. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ მივიღოთ კუთვნილი დაფინანსება.

გაეროდან სათანადო დაფინანსების მიღების საქმეში თავისი წვლილი შეუძლია შეიტანოს საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელს გაეროში, ბატონ ნოდარ ბოკერიას, რადგან ასეთი მშენებლობები ჩვენი ახალგაზრდების ინტერესებშია.

გაეროს მიერ დაფინანსებულ, ექსპლოატაციაში გადაცემულ ან მშენებლობაში არსებულ ჰესს მეტად ენდობა ჩვენი ქვეყნის მოქალაქენი, რაც აისახება აქციების რეალიზაციაზე.

როცა მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო აშშ-ი კალიფორნიაში და სხვაგან არ იცავს ტყის მასივებს მძვინვარე ხანძრებისაგან, გაერომ რატომ არ უნდა დააჯარიმოს ამერიკის ხელისუფლების წამომადგენლები და კონგრესმენები? ასეთ ფონზე 3-მილიონიანი საქართველოს ბრძოლა ძალიან მაღალი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მქონე ობიექტების მშენებლობით გაუმჯობესოს გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა, გაერომ სათანადოთ უნდა დააფასოს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ამ საკითხს ქვეყნისათვის სასარგებლოდ გადაწყვეტს.

ნუგზარ კობახიძე,
დამოუკიდებელი ექსპერტი
ჰიდრომშენებლობაში.
(593 74 82 53)

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ინდოეთში მასშტაბურ მარკეტინგულ კამპანიას იწყებს!

„საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, ინდოეთში, მუმბაიში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ინდოეთის ერთ-ერთ უდიდეს სამოგზაურო კომპანიასთან „Thomas Cook“.

მათივე ცნობით, მემორანდუმს ხელი მოაწერეს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მაია ომიაძემ და Thomas Cook-ს კომპანიის პრეზიდენტმა მოგზაურობის, დასვენებისა და საქმიანი ტურიზმის მიმართულებით რაჯიივ ხალემ. შეხვედრას ესწრებოდა ინდოეთში საქართველოს ელჩი ვახტანგ ჯაოშვილი

„დღეს გავაფორმეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ინდოეთის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ტურისტულ კომპანიასთან Thomas Cook. ძალიან აქტიურად ვმუშაობთ ინდურ ბაზარზე, რომ საქართველოში მეტი ტურისტი ჩამოვიყვანოთ. ვგეგმავთ ერთობლივ მარკეტინგულ კამპანიებსაც. ძალიან მნიშვნელოვანია, ინდოეთის ბაზარზე გყავდეს დიდი პარტნიორები. რა თქმა უნდა, ვმონაწილეობთ ღონისძიებებში, მათ შორის OTM 2025-ზე. აღნიშნულ გამოფენაზე 45 კერძო კომპანია გვყავს ჩამოყვანილი და ერთობლივად მხარს ვუჭერთ ღონისძიებებს, რომ ინდოეთში საქართველოს შესახებ ცნობადობა ამაღლდეს და შედეგად საქართველოში მეტი ინდოელი ტურისტი ჩამოვიდეს“, – განაცხადა მაია ომიაძემ.

მემორანდუმის მიზანია: საქართველოს ცნობადობის ამაღლება ინდოეთის ტურისტულ ბაზარზე, საქართველოს შესახებ ტურისტულად მიმზიდველი მედიაკამპანიის ორგანიზება გაცნობითი ტურების მოწყობა საქართველოში, საქართველოს საქმიანი ტურიზმის ხელშეწყობა ინდოეთში, უნიკალური და ინდოეთის ბაზარზე მორგებული ტურისტული პროდუქტების შექმნა, ერთობლივი მარკეტინგული კამპანიები ინდოეთში საქართველოს შესახებ, გრძელვადიანი სტრატეგიული თანამშრომლობის დაწყება საქართველოს ტურისტული ცნობადობის გაზრდის მიზნით – ნათქვამია ინფორმაციაში.

ფილადელფიაში სამედიცინო თვითმფრინავის ჩამოვარდა!

31 იანვრის საღამოს აშშ-ში – ფილადელფიაში თითქმის აფრენისთანავე ჩამოვარდა სამედიცინო თვითმფრინავი, რომლის ბორტზე ექვსი ადამიანი იმყოფებოდა. კომპანიამ, რომელსაც თვითმფრინავი ეკუთვნის, განაცხადა, რომ „გადარჩენილების არსებობას ვერ დავადასტურებთ“. თვითმფრინავი მიფრინავდა მექსიკის ქალაქ ტიხუანუში, რომელიც აშშ-ის საზღვართან მდებარეობს.

თვითმფრინავში მყოფები მექსიკის მოქალაქეები იყვნენ. გავრცელებული ცნობებით, თვითმფრინავით მკურნალობის შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ პაციენტი გოგონა და მისი დედა, დანარჩენები ეკიპაჟის წევრები იყვნენ. კომპანიის წარმომადგენლის თანახმად, ამგვარი რეისების მომსახურე პერსონალს გულმოდგინედ ამზადებენ და თვითმფრინავებიც ყურადღებით მოწმდება.

თვითმფრინავი რადარებიდან გაქრა სიჩქარის აკრეფის დროს და ჩამოვარდა ფილადელფიის ხალხმრავალ გზაჯვარედინზე, სადაც სავაჭრო ცენტრია. რამდენიმე შენობას ხანძარი გაუჩნდა, იტყობინება Associated Press-ი.

აშშ-ში ამ ბოლო დღეებში უკვე მეორე ავიაკატასტროფაა, მას გამოეხმაურა აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი: „როგორი სევდაა, იმის ნახვა, როგორ ვარდება თვითმფრინავი ფილადელფიაში. დაიკარგა კიდევ მეტი უდანაშაულო ადამიანი“, დაწერა მან.

29 იანვარს ვაშინგტონის რეიგანის სახელობის აეროპორტზე მოხდა კატასტროფა, როცა სამგზავრო თვითმფრინავი, რომელშიც 64 ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის ახალგაზრდა მოციგურავეები, შეეტაკა სამხედრო შვეულმფრენს, რომელშიც სამი ჯარისკაცი იყო.

ყუმბარის აფეთქებას ხუთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

აზერბაიჯანში, აღჯაბედში, საცხოვრებელ კორპუსში ყუმბარა აფეთქდა, რის შედეგადაც დაღუპულები და დაშავებულები არიან. ამის შესახებ აზერბაიჯანული მედია იუწყება.

მედია აღნიშნავს, რომ შემთხვევა აღჯაბედის რაიონის სოფელ გინდარხში მოხდა.

შემთხვევის შედეგად ხუთი ადამიანი დაიღუპა, მათგან სამი არასრულწლოვანი, ორი კი დაშავდა. გავრცელებული ინფორმაციით, ყველა გარდაცვლილი და დაშავებული ერთი ოჯახის წევრია.

ადგილზე მუშაობდნენ სამართალდამცავი ორგანოები, მიმდინარეობს გამოძიება.

„ჰაკი აძბა“ ზუგდიდის სცენაზე

საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში უჩვენეს სპექტაკლი „ჰაკი აძბა“ (რეჟისორი თორნიკე სულაბერიძე).

როგორც კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, ლეო ქიაჩელის მოდერნისტული ელემენტებით სავსე ნოველა ეხება პატრიოტიზმს, ღირსებასა და ადამიანის სულიერ სიძლიერეს. ეს არის ისტორია ეროვნული თვითმყოფადობისა და გაუტეხელი სულის შესახებ.

სპექტაკლში მონაწილეობენ: გოგი გუგუჩია, ირაკლი სამუშია, დათო ჩოგოვაძე, ზურაბ ანთელავა, გიგა აბულაძე, ზურაბ ლაშხია, კობა მატკავა, ანდრო შამუგია, რეზო ჯოჯუა, ლევან მამასახლისი, გიგა აბულაძე, ლევან გოგოხია, გიორგი ქობალია, ანა ბერელაშვილი, მერაბ კაკალია, სანდრო ჩიხლაძე და ქეთი მაქაცარია.

„ბიბლიოგრაფიული იშვიათობის“ ახალი სიცოცხლე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა სერიით „ბიბლიოგრაფიული იშვიათობა“ (ტ. VI) გამოსცა ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და არქეოგრაფის, სარგის კაკაბაძის XX საუკუნის 20-იან წლებში დაწერილი ნაშრომების კრებული (რედაქტორები: ლ. გრძელიშვილი, ა. თაბუაშვილი).

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, კრებულში შესულია ს. კაკაბაძის მონოგრაფიები: „საქართველო ერეკლე II-ს დროს“, „საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში“ და სასკოლო სახელმძღვანელო – „შემოკლებული ისტორია საქართველოსი. ახალი საუკუნეების ეპოქა“. ყველა ეს გამოკვლევა უმთავრესად ეხება გვიანი ფეოდალური ეპოქის საქართველოს ისტორიას და, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაიწერა, დღესაც არ კარგავს მეცნიერულ ღირებულებას.

საქველმოქმედო საღამო აფხაზეთის მუზეუმის აღსადგენად

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი დავით ფაცაცია აფხაზეთის მუზეუმის აღდგენისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო საღამოს დაესწრო, სადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები, მათ შორის, აფხაზეთიდან დევნილი 30 მხატვრის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

„როგორც ღმერთია მაარსებელი სიყვარულის, მიტევების, ურთიერთპატივისცემის, ისევე ხელოვნება, კულტურა არის პირველი ხიდი, პირველი წყარო ნდობის, სიყვარულის, ერთიანობის, ყველაზე სწორი გზა მშვიდობისა და ქვეყნის გაერთიანების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში. ველოდებით უკუკავშირს აფხაზეთიდან, ჩვენი აფხაზი მხატვრების მხრიდან და მჯერა, რომ ჩვენი ხელოვანების ეს კეთილი ნაბიჯი იქნება ხელშესახები“, – განაცხადა დავით ფაცაციამ.

საქველმოქმედო გამოფენის მიზანია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე ეროვნული მუზეუმისთვის, რომლის შენობაც შარშან დაიწვა, ფონდის შესავსებად გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების შეთავაზება, გადაცემა.

ქართველი მოცარტის ტრიუმფი ზალცბურგში

15 წლის კომპოზიტორმა ცოტნე ზედგინიძემ გერმანიაში, ზალცბურგის ფესტივალზე ნამდვილი ფურორი მოახდინა. მან თავისი სიმფონიის მსოფლიო პრემიერა გამართა. შესრულდა ცოტნეს სონატაც, რომელიც კომპოზიტორმა ქართველ მევიოლინეს ლიზა გათიაშვილს სპეციალურად დაუწერა. საღამოს ცნობილი მუსიკოსი ფრანსუა ლელუ დირიჟორობდა.

მუსიკოსი ცოტნე ზედგინიძე საერთაშორისო მუსიკალურმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ 9 წლის ასაკში მოცარტს შეადარა.

ოკეანეები ოთხჯერ უფრო სწრაფად თბება!

ბოლო 40 წლის განმავლობაში, ოკეანის დათბობის ტემპი ოთხჯერ გაიზარდა. ოკეანის ტემპერატურა ათწლეულში იზრდებოდა დაახლოებით 0,06 გრადუსი ცელსიუსით (1980-იანი წლების ბოლოს), ახლა კი იზრდება 0,27 გრადუსით 10 წელიწადში, წერს Phys .

2025 წლის 28 იანვარს გამოქვეყნებული კვლევა განმარტავს, თუ რატომ გამოირჩეოდა 2023 და 2024 წლის დასაწყისი ოკეანის უპრეცედენტო მაღალი ტემპერატურით.

ცნობილია, რომ ოკეანეების ეს დაჩქარებული გათბობა გამოწვეულია დედამიწის მზარდი ენერგეტიკული დისბალანსით. ჩვენი პლანეტა მზისგან უფრო მეტ ენერგიას შთანთქავს, ვიდრე უბრუნდება კოსმოსს.

ეს დისბალანსი თითქმის გაორმაგდა 2010 წლიდან, ნაწილობრივ სათბურის აირების გაზრდილი კონცენტრაციისა და დედამიწის მიერ არეკლილი მზის შუქის შემცირების გამო. გლობალური ოკეანის ტემპერატურამ მიაღწია რეკორდულ მაჩვენებლებს ზედიზედ 450 დღის განმავლობაში 2023 წელს და 2024 წლის დასაწყისში.

ამ სიცხის ნაწილი გამოიწვია „ელ ნინომ“ – წყნარ ოკეანეში დათბობის ბუნებრივმა ფენომენმა.

ამასთან, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში დადასტურებული ოკეანეების გლობალური დათბობის საერთო დონე ვერ გამოდგება მომავალი ცვლილებების ზუსტ ინდიკატორად. მეცნიერები კვლევებს ამ თემასთან დაკავშირებით მუდმივ რეჟიმში ატარებენ.

შეზღუდვები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე

ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ივეტ კუპერმა განაცხადა, რომ გაერთიანებული სამეფო უკანონოდ გამოაცხადებს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენებას, რომლებიც ქმნიან ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ამსახველ ფოტომასალას.

ეს ცვლილება ასევე იქნება ძლიერი სიგნალი მათთვის, ვინც ქმნის ფორუმებს, რათა ასწავლოს სხვებს, როგორ გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტი ძალადობისთვის, ან ისეთი ქმედებებისთვის, რომლებიც „ღრმად აზიანებს“ ბავშვებსა და ახალგაზრდებს. ბავშვების აშკარა გამოსახულებების ფლობა, გადაღება, დამზადება, ჩვენება ან გავრცელება ინგლისსა და უელსში დანაშაულია. ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით დიდი ბრიტანეთი იქნება მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელიც ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ბავშვებზე სექსუალურ ძალადობას კრიმინალურ ქმედებად გამოაცხადებს.

კუპერმა თქვა, რომ ტექნოლოგიურ კომპანიებს აქვთ „მორალური პასუხისმგებლობა“ წაშალონ უკანონო სურათები და თუ ისინი ამას ვერ გააკეთებენ, შეიძლება მათ წინააღმდეგ ახალი კანონებით „უფრო ძლიერი ქმედება“ განხორციელდეს. ბრიტანეთმა ამ თვის დასაწყისში განაცხადა, რომ ის ასევე სისხლის სამართლის დანაშაულად აქცევს სექსუალურად გამოხატული „დიპფეიქების“ – ვიდეოების, სურათების ან აუდიო კლიპების გაკეთებას და გაზიარებას, რომლებიც ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით არის შექმნილი.

საქართველოს
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge
რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი,

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

დამკაბადონებლები
გიორგი მახარაშვილი,
არჩილ სიხარულიძე.

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი

მისამართი:
თბილისი. აკაკი
წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ
მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის
აზრი, შესაძლოა, არ
ემთხვეოდეს ავტორთა
მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია
ავტორი.
საავტორო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ აგებს
სოციალური ქსელიდან
და სხვა მედია-
საშუალებებიდან
გადმობეჭდილ, ან
უცხოური პრესიდან
თარგმნილი მასალების,
ფაქტების, ინფორმაციის
სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

გაზეთის
მომდევნო
ნომერი
გამოვა
ოთხშაბათს,
5 თებერვალს